პროლეტარიელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

KOMUNISTI

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО КОМИТЕТА КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 33-ე წელი

№ 188 (9348)

შაბათი 9 აგვისტო 1952 წ.

ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთშია

კომკავშირის ძლიერების წყარო — მოწინავე (1-ლი გვერდი).

საბჭოთა საქართველოში (1-ლი გვერდი).

სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში (1-ლი გვერდი).

ჩინეთის სოფლის მეურნეობის მუშაკთა დელეგაცია საქართველოში (1-ლი გვერდი).

დავძლიოთ ქართული სახვითი ხელოვნების ჩამორჩენა (მე-2 გვერდი).

ზესტაფონელი მეტალურგები ადიდებენ ფეროშენადნობის გამოშვებას (მე-3 გვერდი).

უკეთ მოვაწყოთ მშრომელთა დასვენება (მე-3 გვერდი).

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია — [illegible] ყვარულზე. «ელექტრომავალი» (მე-3 გვერდი).

საზაფხულო გამაჯანსაღებელი მუშაობა საბავშვო გაღეგში (მე-3 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

კომკავშირის ძლიერების წყარო

კომკავშირის ძალისა და ძლიერების წყარო მტკიცე პარტიული ხელმძღვანელობაა. პარტიული ხელმძღვანელობის გარეშე კომკავშირს არ შეუძლია შესრულოს თავისი ძირითადი ამოცანა—აღზარდოს საბჭოთა ახალგაზრდობა კომუნისტური სულისკვეთებით.

ამხანაგი სტალინი გვასწავლის, რომ „...პარტიის ხელმძღვანელობის უზრუნველყოფა უმთავრესი და უმნიშვნელოვანესი ამოცანაა კომკავშირის მთელს მუშაობაში“.

ის მდგომარეობა, რომ საქართველოს ბევრი კომკავშირული ორგანიზაცია ამ უკანასკნელი წლების მანძილზე ვერ იდგა თავისი ამოცანების სიმაღლეზე, პირველ რიგში იმით იყო გამოწვეული, რომ პარტიულმა ორგანიზაციებმა დაივიწყეს ამხანაგ სტალინის ბრძნული მითითება კომკავშირისადმი ყოველდღიური ხელმძღვანელობისა და დახმარების შესახებ. ცოტა როდი შეიძლება დავასახელოთ ფაქტები, რომლებიც ცხადყოფენ, რომ პარტიული ორგანიზაციები კომკავშირული მუშაობისადმი ხელმძღვანელობასა და დახმარებას თავიანთ პირდაპირ მოვალეობად არ თვლიდნენ, მოწყვეტილი იყვნენ კომკავშირულ ორგანიზაციებს.

ამან სერიოზული ზიანი მიაყენა საქართველოს კომკავშირს, რომლის ბევრი ორგანიზაცია არ ცხოვრობდა მჩქეფარე, სისხლსავსე კომკავშირული ცხოვრებით, მნიშვნელოვნად იყო შესუსტებული მისი როლი რესპუბლიკის სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში. კომკავშირელთა შორის ფართოდ იყო გავრცელებული ერთიერთ შექების, მლიქვნელობის, ნაკლოვანებებისადმი შემარიგებლობის და საბჭოთა ახალგაზრდისათვის სხვა უცხო და შეუფერებელი განწყობილებანი. კომკავშირელთა ერთი ნაწილი იმის ნაცვლად, რომ კომკავშირგარეშე ახალგაზრდობისათვის ბეჯითი შრომისა და სწავლის მაგალითები ეჩვენებინა, თვით არღვევდა დისციპლინას, თავს არიდებდა შრომას.

კომკავშირის ბევრი რაიკომი და პირველადი კომკავშირული ორგანიზაცია სათაოვეში არ ედგა ახალგაზრდობის კომუნისტურად აღზრდის საქმეს, ადვილად ურიგდებოდა ნაკლოვანებებს, არ სჯიდა უქნარებსა და შრომის დეზორგანიზატორებს, კონკრეტულ ზომებს არ იღებდა მუშაობის გასაძლიერებლად.

ჩვენი რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციებმა, რომლებიც ცენტრალური კომიტეტის განახლებული ხელმძღვანელობის მეთაურობით განუზრელად ახორციელებენ საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გადწყვეტილებებსა და ამხანაგ სტალინის ისტორიულ მითითებებს, მტკიცედ მოჰკიდეს ხელი საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ყოფილი ხელმძღვანელობის მიერ დაშვებული შეცდომების გამოსწორებას. მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა კომკავშირისადმი პარტიული ხელმძღვანელობის გაუმჯობესების საქმეშიც, რის შედეგადაც კომკავშირული ორგანიზაციები დღითიდღე აძლიერებენ მუშაობას.

ახლა პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტები სერიოზულ ღონისძიებებს ახორციელებენ კომკავშირული ორგანიზაციების მთელი მუშაობის ახლებურად მოწყობისათვის.

პარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტის ბიურო უკანასკნელ ხანს სისტემატურად იხილავს კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობის საკითხს, უსახავს მათ ღონისძიებებს, ასწავლის ახალგაზრდობაში მუშაობის ხელოვნებას. პარტიის საქალაქო კომიტეტის მუშაკები ადგილზე, წარმოებაში ეცნობიან კომკავშირული ორგანიზაციებისა და კომკავშირელთა საქმიანობას, სწავლობენ მათ მუშობასა და ცხოვრებას, კონკრეტულად ეხმარებიან გადაუდებელი საკითხების მოგვარებაში. კომკავშირისადმი პარტიული ხელმძღვანელობის გაუმჯობესების საკითხს მიეძღვნა საქალაქო კომიტეტის პლენუმი. ამასთან დამახასიათებელია, რომ აქ კომკავშირისადმი პარტიული ხელმძღვანელობისა და დახმარების საკითხი ისე არა აქვთ გაგებული, რომ ყველაფერი კომკავშირული მუშაკების მაგიერ თვითონ აკეთონ.

პარტიული ორგანიზაციები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ კომკავშირელებში ინიციატივის, ახლის გრძნობის განვითარებას, მხარს უჭერენ და ახალისებენ კომკავშირელთა ყოველ სასარგებლო წამოწყებას.

კომკავშირისადმი ხელმძღვანელობისა და დახმარების კარგად მოწყობის მაგალითების დასახელება მრავლად შეიძლება.

მაგრამ არის ისეთი პარტიული ორგანიზაციებიც, რომლებმაც ჯერ კიდევ ვერ გააკეთეს სათანადო დასკვნები საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მითითებიდან. ისინი კვლავ არადამაკმაყოფილებლად ხელმძღვანელობენ და ეხმარებიან კომკავშირულ ორგანიზაციებს, ხშირად პარტიულ კრებებზე საკითხების ფორმალური განხილვით ცვლიან კონკრეტულ დახმარებასა და ხელმძღვანელობას. მაგალითად, თბილისის 1 სამკერვალო ფაბრიკის პარტიული ორგანიზაცია თავის კრებებსა და ბიუროს სხდომებზე ხშირად იხილავს კომკავშირული ორგანიზაციისადმი დახმარების საკითხს, იღებს გადწყვეტილებებს. რადგან ყოველივე ეს მხოლოდ ფორმალურად ხდება და პარტიული ორგანიზაცია აღარ ზრუნავს მის მიერ მიღებულ დადგენილებათა შესასრულებლად, ფაბრიკაში კომკავშირული მუშაობა აქამდე ვერ ავიდა მოწოდების სიმაღლეზე. კომკავშირული კრებები აქ მოუმზადებლად და არაორგანიზებულად ეწყობა, კომკავშირელები არ დგანან შრომის ავანგარდში, ვერ ასრულებენ სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებას, მათი დიდი ნაწილი არადამაკმაყოფილებლად მუშაობს საკუთარი იდეური დონის ასამაღლებლად.

საქართველოს კომკავშირის XIX ყრილობაზე ამხ. ა. ი. მგელაძემ აღნიშნა, რომ „კომკავშირისადმი პარტიული ხელმძღვანელობის ხარისხზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი იმსჯელებს არა იმის მიხედვით, თუ რამდენჯერ იქნა განხილული კომკავშირისადმი პარტიული ხელმძღვანელობის საკითხები, არამედ იმის მიხედვით, თუ როგორია კომკავშირული ორგანიზაციის სახე, რა მდგომარეობაშია იგი, როგორ მუშაობს, როგორი კადრები ჰყავს“.

თავისთავად ცხადია, რომ კომკავშირული ორგანიზაციები თავიანთ ამოცანებს პირნათლად მხოლოდ მაშინ შეასრულებენ, თუ პარტიული ორგანიზაციები მზრუნველობას არ მოაკლებენ მათ, კონკრეტულად დაეხმარებიან ბოლომდე აღმოფხვრან ნაკლოვანებანი მუშაობაში.

კომკავშირული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობის შემდგომი ამაღლება შეუძლებელია მიღწეულ იქნას, თუ ახალგაზრდობაში საფუძვლიანად არ გაუმჯობესდა პოლიტიკურ-აღმზრდელობითი საქმიანობა. ყოველი ახალგაზრდა ბეჯითად უნდა სწავლობდეს მარქსისტულ-ლენინურ თეორიას, დაუღალავად იმაღლებდეს იდეური მომზადების დონეს, სრულყოფდეს თავის საქმიან კვალიფიკაციას.

კომუნისტები, ხელმძღვანელი პარტიული მუშაკები სისტემატურად უნდა გამოდიოდნენ ახალგაზრდობაში მოხსენებებით, ლექციებით, ესაუბრებოდნენ მას პარტიის პოლიტიკაზე, ჩვენი ქვეყნის საშინაო და საგარეო ვითარებაზე, კომუნისტური მშენებლობის წარმატებებზე, კომკავშირის აქტივს ასწავლიდნენ ბოლშევიკური ხელმძღვანელობის მეთოდებს, ზრდიდნენ მას ნაკლოვანებებისადმი შეურიგებლობის სულისკვეთებით.

ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური მშენებლობის წარმატების ინტერესები მოითხოვს ახალგაზრდობის პოლიტიკური და შრომითი აქტივობის შემდგომ ამაღლებას. ეს კი პარტიულ ორგანიზაციებს ავალებს კომკავშირისადმი ხელმძღვანელობისა და დახმარების შემდგომ გაუმჯობესებას, ამ ხელმძღვანელობის ისე წარმართვას, რომ თვითეული კომკავშირული ორგანიზაცია სისხლსავსე ცხოვრებით ცხოვრობდეს, ნამდვილად ასრულებდეს ბოლშევიკური პარტიის ერთგული თანაშემწის საპატიო ამოცანას, ზრდიდეს ახალგაზრდობას სამშობლოსადმი, ლენინ-სტალინის პარტიისადმი უსაზღვრო ერთგულების სულისკვეთებით.

საბჭოთა საქართველოში

★

მექანიზატორები თესვისათვის ემზადებიან

წითელწყაროს. (სპეც. კორ.). შირაქის მტს-ის მექანიზატორები ახალი ძალით აჩაღებენ მუშაობას საშემოდგომო ხვნა-თესვის წარსულ წლებზე ბევრად მოკლე დროში და მაღალხარისხოვნად ჩატარებისათვის.

მტს-ის ყველა ტრაქტორი სამუშაო მდგომარეობაშია. 9 ტრაქტორი ანეულის კულტივაციაზე მუშაობს. ტრაქტორების მნიშვნელოვანი ნაწილი გამოყენებულია ხვნაზე, მარცვლის მექანიზებულ წმენდაზე და სხვ.

ანეულის პირველი კულტივაციის გეგმა, რაც 850 ჰექტარს ითვალისწინებს, კარგა ხანია შესრულებულია, ახლა მეორე კულტივაციაც მთავრდება.

მტს-მა საშემოდგომოდ უკვე მოხნა 100-ზე მეტი ჰექტარი. ამ სამუშაოზე ძირითადად მძლავრი ტრაქტორები („ს-80“) არის გამოყენებული.

მტს-ის პირველი სატრაქტორო ბრიგადა, რომელსაც ს. ნატროშვილი ხელმძღვანელობს, წარმატებით ასრულებს ანეულის დამუშავების და სხვა დავალებებს. წითელწყაროელი კოლმეურნეები საფუძველს უყრიან მომავალი წლის უხვ მოსავალს.

თბილისი. ჰიდრო-მეტეოროლოგიური ხელსაწყოების ქარხანა. მექანიკურ საამქროში სახელი გაითქვა ხარატმა ილია გამჯიაშვილმა, რომელიც ნორმას 200-250 პროცენტით ასრულებს. **სურათზე:** (მარცხნიდან მარჯვნივ) საამქროს ოსტატი რომანოზ მჭედლიძე ამოწმებს ილია გამჯიაშვილის მიერ დამზადებულ დეტალს.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

მისაღები გამოცდები უმაღლეს სასწავლებლებში

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში

დიდია ახალგაზრდობის მისწრაფება სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შესვლისაკენ. წელს აქ 1.015 ვაკანტურ ადგილზე შეტანილი იყო 2.355 განცხადება. განმცხადებელთა შორის 396 ოქროს და ვერცხლის მედალოსანია, 31—ტექნიკუმდამთავრებული ფრიადოსანი, 6 — დიდი სამამულო ომის მონაწილე. წელს უნივერსიტეტში 433 ახალგაზრდა უგამოცდოდ შედის, ხოლო 1922—აბარებს საკონკურსო გამოცდებს, რომ მოიპოვოს უნივერსიტეტში შესვლის უფლება.

მისაღებ გამოცდებზე ახალგაზრდები წელს, შარშანდელთან შედარებით, განსაკუთრებით კარგ ცოდნას ავლენენ მშობლიურ ლიტერატურაში, გეოგრაფიასა და ისტორიაში. განცხადებების მეტი წილი მოდის გეოლოგიის, ბიოლოგიის, გეოგრაფიის, ფილოლოგიისა და ისტორიის ფაკულტეტებზე. ფილოლოგიის ფაკულტეტზე შემსვლელთაგან მისაღებ გამოცდებზე ყველა საგანში ნიშანი „5“ მიიღო 18 ახალგაზრდამ, მათ შორის ნ. ლეონიძემ, მ. ანთაძემ, მ. ხუციშვილმა, მ. ბაკურაძემ და სხვებმა.

უნივერსიტეტში მისაღები გამოცდები დამთავრდება 11 აგვისტოს.

წარმოების ნოვატორთა მინერა-მოწერა

ჰიათურა. (საკ. კორ.). მაღარგანეცის ქალაქში ლითონის ჩქაროსნული ჭრის ინიციატორად გამოვიდა მთავარი ელექტრომექანიკური სახელოსნოს ოსტატი ი. კაპანაძე. მან სპეციალური საჭრისები გაუკეთა სახარატო ჩარხებს, რითაც მნიშვნელოვნად გაზარდა მათი წარმადობა, გააუმჯობესა პროდუქციის ხარისხი და შეამცირა თვითღირებულება.

ოსტატმა ი. კაპანაძემ საქმიანი მიწერ-მოწერა დაამყარა სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის სახელგანთქმულ ხარატ ი. ჭუმბურიძესთან. ამას წინათ ი. კაპანაძემ თბილისელი მეგობრისაგან გულთბილი წერილი მიიღო. ამხ. ჭუმბურიძე წერს:

„გავეცანი ჩქაროსანი ხარატების ბიკოვისა და ბორტკევიჩის მუშაობის მეთოდებს, რასაც ჩემს მუშაობაში ვიყენებ. დამზადებული მაქვს მთელი რიგი სპეციალური დანიშნულების ხელსაწყო-იარაღები, მუდამ მზადყოფნაში მაქვს სამარჯვები, რითაც ერთისამად და უფრო მეტად ვზრდი შრომის ნაყოფიერებას. ჩარხის ათვისებამ, მჭრელი იარაღების გეომეტრიის შესწავლამ და სამუშაო დროის მაქსიმალურად გამოყენებამ საშუალება მომცა მიმეღწია ლითონის ჭრის მაღალი სიჩქარისათვის.

მჭრელი იარაღების მომზადებისა და ლესვისათვის არასოდეს არ ვიყენებ საბუმაო დროს, არამედ წინასწარ გარკვეული რაოდენობით მაქვს მომზადებული საჭრისები იმ დეტალებისათვის, რომლებსაც ვამზადებ. რომელიმე დეტალისათვის განკუთვნილ საჭრისს სხვა დეტალის დამზადებაზე არავითარ შემთხვევაში არ ვიყენებ.

განზრახული მაქვს დავათვალიერო თქვენი საწარმო და დაწვრილებით გაგეცნო თქვენს მუშაობას, მაგრამ მანამდე ჩემი სურვილია თქვენ და სხვა ჩქაროსანი ხარატები ჩამოხვიდეთ ჩვენთან და გაეცნოთ ჩვენს მუშაობას. აქ ნახავთ იმ ქარხანას, სადაც ნახევარი საუკუნის წინათ რევოლუციურ მუშებს თვითმპყრობელობის დასამხობად რაზმავდა ი. ბ. სტალინი. იმ საამქროში, სადაც მე ვმუშაობ, მუშაობდა ჩვენი ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ სტალინის უახლოესი თანამებრძოლი მიხეილ ივანეს-ძე კალინინი, რომლის სახარატო ჩარხი დღესაც ისევ დგას. ჩვენს ქარხანაში მუშაობდა აგრეთვე პროლეტარული ლიტერატურის ფუძემდებელი მაქსიმ გორკი“.

ი. კაპანაძემ საპასუხო წერილი გაუგზავნა ი. ჭუმბურიძეს. იგი აცნობს ჭიათურელი ჩქაროსანი ხარატების გამოცდილებას, აგრეთვე ჰპირდება ინახულოს ბელადის სახელობის ქარხანა და მჭიდრო მეგობრობა დაამყაროს დედაქალაქის ნოვატორებთან.

ერთ თვეში 1 მილიონი ქილა კონსერვი გეგმის გადამეტებით

სრული დატვირთვით მუშაობენ ამჟამად საქართველოს საკონსერვო ქარხნები. ყველგან მასობრივად დაიწყეს ახლად შემოსული ხილის — მსლის, ვაშლის, ატმისა და ქლიავის გადამუშავება. საკონსერვო ქარხნებმა მარტო ივლისში თვიური გეგმის გადამეტებით 1 მილიონი ქილა კონსერვი გამოუშვეს.

საკონსერვო ქარხნებს შორის მოწინავედ კვლავ გორის საკონსერვო ქარხანა არის მიჩნეული. ამ ქარხნის კოლექტივმა მეორე კვარტალში მოიპოვა საკავშირო პროფსაბჭოსა და სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროს გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია.

ჩინეთის სოფლის მეურნეობის მუშაკთა დელეგაცია საქართველოში

ერთ თვეზე მეტი დაჰყო საქართველოში ჩინეთის სოფლის მეურნეობის მუშაკთა დელეგაციამ, რომელიც ეცნობოდა ჩვენი კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებისა და სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებათა მუშაობას.

აღმოსავლეთ საქართველოს რაიონებში დელეგაციის წევრებმა დაათვალიერეს მთელი რიგი კოლმეურნეობები, მტს-ები, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი თელავში. სტუმრები დაწვრილებით გაეცნენ საკოლმეურნეო წარმოების -ორგანიზაციას და კოლმეურნეების ცხოვრებასა და მუშაობას.

წარეშლელი შთაბეჭდილება დატოვა ჩინეთის სოფლის მშრომელებზე ისტორიული სახლის ნახვამ ქალაქ გორში, სადაც დაიბადა და ბავშვობის წლები გაატარა ამხანაგმა ი. ბ. სტალინმა. შთაბეჭდილებათა წიგნში მათ დატოვეს ჩანაწერი, რომელშიც გამოხატულია ჩინელი ხალხის უსაზღვრო სიყვარული მთელი მსოფლიოს მშრომელთა ბელადისა და მასწავლებლის დიდი სტალინისადმი.

ჩინეთის სოფლის მეურნეობის მუშაკები გაემგზავრნენ დასავლეთ საქართველოს რაიონებში და დიდი ინტერესით ეცნობოდნენ ჩვენი რესპუბლიკის სოციალისტური სოფლის მეურნეობის მიღწევებს.

ქობულეთის რაიონში დელეგატები იყვნენ სოფელ ბობოყვათის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობაში. კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარემ სოციალისტური შრომის გმირმა მ. ორაგველიძემ სტუმრებს გააცნო კოლმეურნეობის უდიდესი მეურნეობა, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებანი და საბავშვო ბაღები.

დელეგაციის წევრებს აინტერესებდათ აგრეთვე ამავე რაიონის სოფელ ნატანების ბერიას სახელობის კოლმეურნეობა, სადაც ეცნობოდნენ ჩაის ბუჩქებზე ბინადარ ტკიპებთან ბრძოლის ახალ ხერხებს. ეს ტკიპები ანადგურებენ ჩაის ბუჩქებს, ანელებენ ბუჩქების ზრდას, ამცირებენ ჩაის ფოთლის მოსავალს. ამ ტკიპებთან ბრძოლა ბევრ ადგილზე ასრულებენ ავიაციის საშუალებით. ეს ბრძოლა ეფექტიანია, ეკონომიურია, ადვილია.

ბორჯომელ ბაღოვანთა ბრიგადა ეცნობა ბორჯომის ტყეებს, ბორჯომ-ბაკურიანის ბალნეოლოგიურ კურორტს, ბაკურიანის ბალნეოლოგიურ ინსტიტუტს, ეცნობა ბორჯომელ ბაღოვანთა ბრიგადის ბრიგადირ ალექსანდრ ბაბაიანის ბინას, ეესტუმრ

დავძლიოთ ქართული სახვითი ხელოვნების ჩამორჩენა

მხატვართა აქტივის თათბირი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში

★ ★ ★

ამას წინათ საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა მხატვართა აქტივის თათბირი. თათბირში მონაწილეობა მიიღეს წამყვანმა ფერმწერლებმა, მოქანდაკეებმა, გრაფიკოსებმა, ხელოვნებათმცოდნეებმა.

საქართველოს მხატვრების შემოქმედებითი მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა საქართველოს საბჭოთა მხატვრების კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ, საქართველოს სახალხო მხატვარმა, სტალინური პრემიის ლაურეატმა ამხ. უჩა ჯაფარიძემ.

— უდარდელობის, თვითდამშვიდებისა და პარადული ხმაურის განწყობილებას,—აღნიშნა მომხსენებელმა,—რასაც საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ყოფილი ხელმძღვანელობა ხერგავდა, არ შეიძლებოდა გავლენა არ მოეხდინა საქმის ვითარებაზე რესპუბლიკის შემოქმედებითს ორგანიზაციებშიც, მათ შორის საბჭოთა მხატვრების კავშირში. უდარდელობის ატმოსფერო, რა თქმა უნდა, სრულებითაც არ უწყობდა ხელს მხატვრების შემოქმედებითს ზრდას, პროფესიული ოსტატობის ამაღლებას. მათი ნაწარმოებნი არ შეესაბამებიან ხალხის გაზრდილ მოთხოვნებს. მხატვრები დიდ ვალში არიან პარტიისა და სახელმწიფოს წინაშე, საბჭოთა საზოგადოებრიობის წინაშე.

შემდეგ ამხ. უ. ჯაფარიძემ ილაპარაკა მხატვრების შემოქმედებითი ორგანიზაციის მუშაობის გარდაქმნაზე, მათი ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის პირობების გაუმჯობესებაზე.

მოხსენების გამო კამათში მონაწილეობა მიიღეს: კრიტიკოსმა-ხელოვნებათმცოდნემ ი. ურუშაძემ, ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ა. ქუთათელაძემ, მოქანდაკე ნ. კანდელაკმა, სტალინური პრემიის ლაურეატმა, ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ, მოქანდაკე ვ. თოფურიძემ, მხატვარმა, სამხატვრო გალერიის დირექტორმა ვ. კეშელავამ, სტალინური პრემიის ლაურეატმა, ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ, მოქანდაკე ს. კაკაბაძემ, მხატვარმა, ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ კ. სანაძემ, მხატვარმა, ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ე. ახვლედიანმა და სტალინური პრემიის ლაურეატმა, ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ, მოქანდაკე კ. მერაბიშვილმა.

თათბირის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ ქართული სახვითი ხელოვნების ჩამორჩენის შედეგად მხატვრების შემოქმედებითი მოღვაწეობა შესუსტდა, მათი ოსტატობა დაქვეითდა.

მიუხედავად ცალკეული მხატვრების — ი. ნიკოლაძის, უ. ჯაფარიძის, ვ. თოფურიძის, ს. კაკაბაძის, კ. მერაბიშვილის, ი. თოიძის, ს. ქობულაძის, რ. სტურუას, ა. ვეფხვაძის, პ. ლაპიაშვილის, დ. თავაძის, ი. სუმბათაშვილის შემოქმედებითი მიღწევებისა, ქართული სახვითი ხელოვნების მოღვაწენი მთელი რიგი წლების მანძილზე აღარ ჩანან საკავშირო გამოფენებზე როგორც ერთიანი შემოქმედებითი კოლექტივი.

თავიანთ გამოსვლებში თათბირის მონაწილენი ლაპარაკობდნენ იმ არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობის მიზეზებზე, რომელიც საქართველოს მხატვრების შემოქმედებითს ორგანიზაციაში შექმნა.

პირველ რიგში ეს აიხსნება რესპუბლიკის ყოფილი პარტიული ხელმძღვანელობის შეცდომებით, რომელიც არ წარმართავდა სახვითი ხელოვნების მოღვაწეთა შემოქმედებითს ღონისძიებებს, აგრეთვე მხატვართა კავშირის მუშაობის ნაკლოვანებებით. თუ ავიღებთ 1937 წლის სამხატვრო გამოფენას, რომელიც ამხ. ლ. პ. ბერიას ინიციატივითა და აქტიური დახმარებით მოეწყო, უნდა ვთქვათ, რომ იგი, უწინარეს ყოვლისა, ხასიათდებოდა თავისი მკაფიო იდეური მიზანდასახულობით და მომზადების გეგმიანობით. ეს არ შეიძლება ითქვას უკანასკნელი წლების გამოფენებზე. ეს გამოფენები, როგორც წესი, „კამპანიურ“ ხასიათს ატარებდა, სერიოზული მოსამზადებელი მუშაობის გაუწევლად ეწყობოდა. მხატვრების საქმიანობა არსებითად უკვე ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ხელმძღვანელი პარტიული და სახელმწიფოებრივი ორგანიზაციების, საზოგადოებრიობის, პრესის ყურადღების გარეშეა დარჩენილი.

თათბირის ზოგიერთი მონაწილე აღნიშნავდა, რომ ბევრმა მხატვარმა ამას წინათ სამხატვრო ფონდის ხარჯზე მიიღო სახელოსნოები (უახლოეს ხანში მზად იქნება კიდევ მთელი რიგი ასეთივე სახელოსნოები), მაგრამ მხატვრებისათვის ხელსაყრელი შემოქმედებითი ვითარების შექმნის საკითხი ჯერ კიდევ არ შეიძლება გადაჭრილად ჩაითვალოს. თათბირზე დაისვა საკითხი საქართველოს მხატვრების კოოპერაციული ამხანაგობის შექმნის შესახებ, სახვითი ხელოვნების მუშაკებისათვის სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების დავალებათა ორგანიზებული განაწილების შესახებ.

თათბირზე აღინიშნა ისიც, რომ მხატვრების პროფესიული ოსტატობის ამაღლების სერიოზული დაბრკოლება იყო, კერძოდ, საქართველოში ხელოვნების მუზეუმის უქონლობა. ამის გამო ისინი მოკლებული იყვნენ შესაძლებლობას შეესწავლათ ქართველი ხალხის მხატვრული კულტურის შესანიშნავი ძეგლები, რუსული ხელოვნების კლასიკური ქმნილებანი, აგრეთვე საუკეთესო საბჭოთა მხატვრების ნაწარმოებნი.

მთელ რიგ გამოსვლებში მართებულად აღინიშნა, რომ პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა საქართველოს მხატვართა კავშირში არსებითი ნაკლოვანებებით ხასიათდება. აქ იშვიათად ეწყობა ლექციები მარქსისტულ-ლენინურ ესთეტიკაზე, სახვითი ხელოვნების თეორიისა და ტექნიკის სხვა აქტუალურ საკითხებზე. მხატვართა კავშირის პრაქტიკაში თითქმის სრულებით გაქრა დისპუტები მხატვრების ახალ ნაწარმოებებზე. მხატვართა შორის ჯეროვან სიმაღლეზე არ არის აყვანილი კრიტიკა და თვითკრიტიკა.

— ჩვენ სწორედ იმიტომ ჩამოვრჩით, — ამბობს მხატვარი ვ. კეშელავა,—რომ გავურბივართ პატიოსან, პირუთვნელ კრიტიკას, ვამჯობინებთ არაფერი ვუთხრათ ერთმანეთს ჩვენი ნაწარმოებების სუსტ მხარეებზე. პრინციპული, გულახდილი, პირდაპირი, ამხანაგური კრიტიკისა რომ არ გვეშინოდეს, ჩვენი საქმე მხოლოდ მოიგებდა.

კრიტიკის შიშზე, რომლითაც დაავადებულია ბევრი მხატვარი, ილაპარაკა მოქანდაკე ს. კაკაბაძემაც.

ქართული სახვითი ხელოვნების ჩამორჩენაში მნიშვნელოვანი ბრალი მიუძღვის რესპუბლიკურ პრესასაც. მხატვრულ ნაწარმოებთა კრიტიკა გაზეთების ფურცლებზე მეტწილად არაპრინციპულ ხასიათის ატარებს. ზოგჯერ იგი გადაჭარბებით აქებს ამა თუ იმ ნაწარმოებს, არ აძლევს მას ობიექტურ შეფასებას. ეს სრულებითაც არ არის სასარგებლო ხელოვნებისათვის, ქმედითად არ ეხმარება მის ოსტატებს.

ა. ქუთათელაძე აყენებს საკითხს მხატვრის პასუხისმგებლობის შესახებ ხელოვნებისათვის, რომელსაც იგი ემსახურება.

— იმ ჩამორჩენაში, რომელსაც დღეს ჩვენი სახვითი ხელოვნება განიცდის,—ამბობს იგი,—მნიშვნელოვანწილად ჩვენ თვითონ მიგვიძღვის ბრალი. არ შეიძლება ყველა შეცდომა და ნაკლი გადაბრალო მხოლოდ ამა თუ იმ მეორეხარისხოვან გარემოებებს და არ გრძნობდე საკუთარ პასუხისმგებლობას ნაწარმოებთა ხარისხისათვის. მხატვარი იდეურად ისე უნდა იყოს აღზრდილი, რომ თვითონ შეიგნოს თავისი ნაკლოვანებანი და იცოდეს, როგორ დაძლიოს ისინი. უნდა ჩავნერგოთ პასუხისმგებლობის გრძნობა არა მარტო ჩვენი საკუთარი მუშაობისათვის, არამედ მთელი კოლექტივის საქმიანობისთვისაც.

თათბირის მონაწილეებმა დიდი ყურადღება დაუთმეს ხელოვნებათმცოდნეთა ახალი კადრების აღზრდის, შემოქმედებითი ექსკურსიებისა და მივლინებების მოწყობის საკითხებს, სახვითი ხელოვნების საუკეთესო ნაწარმოებებზე კონკურსებისა და საბჭოთა საზოგადოებრიობის წარმომადგენლებთან მხატვრების შემოქმედებითი შეხვედრების მოწყობას.

თათბირზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. ა. ი. **მგელაძემ.**

— თათბირის მონაწილეთა გამოსვლები,— თქვა ამხ. ა. ი. მგელაძემ,—ერთხელ კიდევ გვაფრთხილებენ იმაში, რომ თუ ჩვენს მხატვრებს პარტიულად ვუხელმძღვანელებთ, ჯეროვნად დავეხმარებით, მათ შეუძლიათ გაცილებით უფრო ნაყოფიერად იმუშაონ სამშობლოსათვის, ხალხისათვის. ვამბობ, სამშობლოსათვის, ხალხისათვის, იმიტომ რომ ჩვენს საბჭოთა ქვეყანაში არ შეიძლება სხვანაირი მიდგომა ხელოვნებისადმი, ლიტერატურისადმი. ჩვენში ხელოვნება და ლიტერატურა საერთო-სახალხო საქმის ნაწილი გახდა. აქედან გამომდინარეობს ის დიდი, პასუხსაგები ამოცანებიც, რომლებსაც პარტია და მთავრობა აყენებენ ყველა შემოქმედებითი მუშაკის წინაშე და, კერძოდ, მხატვრების წინაშე.

მხატვრები მოვალენი არიან სიმართლით, სოციალისტური რეალიზმის საფუძველზე ასახავდნენ თავიანთს ნაწარმოებებში საბჭოთა სინამდვილეს, კომუნისტური მშენებლობის გმირულ ყოველდღიურობას, შემოქმედებითს შრომას და ნათელ ცხოვრებას საბჭოთა ადამიანებისას — კომუნიზმის მშენებლებისას, ვინც დაუღალავად იბრძვის მშვიდობისათვის, რომლის მედროშეა დიდი სტალინი.

ჩვენი საბჭოთა ხელოვნება ვითარდება, წინ მიდის, მიჰყვება ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის მიერ ნაჩვენებ გზას. ლენინისა და სტალინის დიადი ყოვლისმძლე მოძღვრება წარმოადგენს ჩვენი სახვითი ხელოვნების, როგორც მშრომელთა კომუნისტური აღზრდის მძლავრი იარაღის, განვითარების თეორიულ საფუძველს. ჩვენი შემოქმედებითი ორგანიზაციების ცხოვრებასა და მოღვაწეობაში უდიდესი როლი შეასრულეს საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ისტორიულმა დადგენილებებმა იდეოლოგიურ საკითხებზე. ამ გადაწყვეტილებებმა გვიჩვენეს გზა საბჭოთა სახვითი ხელოვნების, როგორც რეალისტური, ღრმად პატრიოტული, ხალხის ცხოვრებასა და ბრძოლასთან სისხლხორცეულად დაკავშირებული ხელოვნების შემდგომი განვითარებისთვისაც. როგორც ჩვენი საბჭოთა მწერლები, ისე ჩვენი საბჭოთა მხატვრებიც ხალხის ინტერესებით ცხოვრობენ, ხალხისათვის ქმნიან. ეს არის მათი მაღალი მოწოდება, ამით განისაზღვრება იმ ხელოვნების დანიშნულება, რომელსაც ისინი ემსახურებიან.

ქართულ სახვითს ხელოვნებას აქვს ღრმა ისტორიული ფესვები და შესანიშნავი დემოკრატიული ტრადიციები, რომელთა დაწვიდრებასა და გამდიდრებას ხელი შეუწყო შემოქმედებითმა, იდეურმა სიახლოვემ მოძმე რუსი ხალხის მოწინავე ხელოვნებასთან.

მისდევდა რა ქართველ მხატვართა უფროსი თაობის მაგალითს, თაობისა, რომლის წარმომადგენლები არიან ისეთი ოსტატები, როგორც გიგო გაბაშვილი, იაკობ ნიკოლაძე, ალექსანდრე მრევლიშვილი, მოსე თოიძე, რომლებმაც ახალ საფეხურზე აიყვანეს ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი მხატვრული კულტურა, თანამედროვე ქართულმა სახვითმა ხელოვნებამ შეითვისა ქართული და რუსული რეალისტური ხელოვნების საუკეთესო ტრადიციები.

ქართველმა მხატვრებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს საბჭოთა სახვითი ხელოვნების საგანძურში. მათ მიერ 1937 წელს ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას ინიციატივითა და მუდმივი დახმარებით შექმნილი გამოფენა თემაზე „საქართველოსა და ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიისათვის“ უაღრესად მნიშვნელოვანი მოვლენა იყო არა მარტო ჩვენი რესპუბლიკის, არამედ აგრეთვე მთელი საბჭოთა კავშირის კულტურულ ცხოვრებაში. ქართველ მხატვართა კოლექტივმა მაშინ ღირსეულად გადაწყვიტა დიდი ამოცანა, რომელმაც ხელი შეუწყო მთელი საბჭოთა სახვითი ხელოვნების თემატურ გამდიდრებას, მის აყვანას ახალ იდეურ სიმაღლეზე. ამ გამოფენაზე წარმოდგენილ თავიანთ ნაწარმოებებში ქართველმა მხატვრებმა აღბეჭდეს საქართველოსა და ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიასთან, ამ ორგანიზაციებს ფუძემდებლისა და ხელმძღვანელის — ამხანაგ სტალინის ცხოვრებასა და რევოლუციურ მოღვაწეობასთან დაკავშირებული ეპიზოდები. ქართველ მხატვართა დიდმა, შთაგონებულმა ნამუშევარმა, რომელიც წარმოდგენილი იყო 1937 წლის გამოფენაზე, მთელი საბჭოთა საზოგადოებრიობის, მთელი საბჭოთა ხალხის მაღალი შეფასება მიიღო. მათი აღმაფრთოვანებელი ნამუშევრების გამოფენამ მოსკოვსა და ლენინგრადში ათეულ ათასობით მაყურებელი მიიზიდა. მათი სურათების რეპროდუქციები დიდი ტირაჟებით იბეჭდებოდა და ვრცელდებოდა. ეს შემობრუნების მომენტი იყო ქართული საბჭოთა სახვითი ხელოვნების ცხოვრებაში, ეს ის დრო იყო, როცა ჩვენი მხატვრები ფართო შემოქმედებითს გზაზე გამოვიდნენ.

მაგრამ აქ გამოსული ამხანაგები მართებულად აღნიშნავდნენ, რომ ქართველმა მხატვრებმა ვერ შეძლეს განემტკიცებინათ და განევითარებინათ თავიანთი ეს დიდი წარმატება. ეს მათ იმიტომ დაემართათ, რომ ბევრ მათგანს, ჩანს, თავბრუ დაეხვა, რაც მოსდის ზოგიერთ ადამიანს, რომელიც წარმატებებით დატკბობას ეძლევა. დიახ, ჩვენს მხატვრებს რაღაც ამის მსგავსი დაემართათ. გამარჯვება მოიპოვეს, და მაშინვე თვითდამშვიდებას მიეცნენ. სწორედ ამან განსაზღვრა ქართული სახვითი ხელოვნების სერიოზული ჩამორჩენა.

საქართველოს მხატვრები უკვე მრავალი წელიწადია არა ცხოვრობენ სისხლსავსე პროფესიული ცხოვრებით, მუშაობენ შემთხვევიდან შემთხვევამდე, მათს ბევრ ნაწარმოებს სიჩქარე, დაუმთავრებლობა აჩნევია. მიეცნენ რა თვითდამშვიდებას, შეამცირეს რა მომთხოვნელობა თავიანთი შემოქმედებისადმი, მხატვრები თანდათან ჩამორჩნენ ცხოვრებას, მის მოთხოვნებს, კარგავენ ახლის გრძნობას, გვერდს უვლიან ეპოქის უაღრესად საინტერესო მოვლენებს.

აქ აღინიშნა, რომ ჩვენი სამეცნიერო დაწესებულებანი საკმაო თეორიულ დახმარებას არ უწევენ მხატვრებს. მაგრამ თხუთმეტი წლის წინათ ეს დაწესებულებანი ხომ სულაც არ ყოფილა, შემოქმედებითი მუშაობა კი მაინც წინ მიდიოდა და ჩვენს მხატვრებს წარმატებები ჰქონდათ. ამასთანავე უნდა ითქვას, რომ საქართველოს მხატვრების კავშირში მაშინ მხოლოდ 40-მდე კაცი იყო, ახლა კი სახვითი ხელოვნების მუშაკთა — მხატვართა, მოქანდაკეთა, გრაფიკოსთა, ხელოვნებათმცოდნეთა რაოდენობა ერთიხუთად გადიდდა. იქნებ ჩვენი სამეცნიერო დაწესებულებანი სუსტად მუშაობენ, მაგრამ საქმე ეს როდია — ჩამორჩენილია შემოქმედებითი საქმიანობა. ჩვენმა მხატვრებმა უფრო ცუდად, უფრო სუსტად იწყეს მუშაობა. ხაზგასმით აღვნიშნავ, რომ ეს საყვედური მიმართულია არა იმათდამი, ვინც, ყოველივეს მიუხედავად, წინ მიდიოდა და ნაყოფიერად მუშაობდა.

ცხადია, რომ სახვითი ხელოვნების დარგში ჩამორჩენა ამიერიდან შეუწყნარებელია. ჩვენ, რა თქმა უნდა, ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ დავეხმაროთ ჩვენს მხატვრებს კვლავ გამოვიდნენ მოწინავე საბჭოთა ხელოვნების ფართო გზაზე. მაგრამ თვითონ მხატვრებმაც ხელი უნდა მოჰკიდონ მუშაობას, თავიანთი შეცდომების გამოსწორებას. ვისაც დანაშაული მიუძღვის ამ შეცდომების დაშვებაში, მათზე ახლა არ ვილაპარაკებთ. ეს დამნაშავენი — როგორც დიდი, ისე პატარა დამნაშავენი — ბევრნი არიან.

ჩვენი ამოცანა ახლა ის არის, რომ გამოვასწოროთ მდგომარეობა, აღმოვფხვრათ გამოვლინებული შეცდომები, ავაწყოთ მუშაობა, შევქმნათ პირობები, რომლებშიც მხატვრებს შეეძლებათ სწორად გამოიყენონ თავიანთი შემოქმედებითი შესაძლებლობანი. ეს შესაძლებლობანი კი, უეჭველია, დიდია, და ისინი სწრაფად იჩენენ თავს, თუ კი საქმეს ხელს მოკიდებთ ბოლშევიკური სიმტკიცით, ყველა სიძნელის დაძლევის სურვილით, მგზნებარე შემოქმედებითი შთაგონებით. მხოლოდ ამ პირობით შევძლებთ შევქმნათ ჩვენი დიადი სტალინური ეპოქის შესაფერი ჭეშმარიტად მხატვრული, მაღალიდეური ნაწარმოებნი.

ამისათვის საჭიროა უწინარეს ყოვლისა გავაძლიეროთ მომთხოვნელობა საკუთარი თავისადმი.

— რაც უნდა ბევრი რამ გააკეთოს მხატვარმა, — ამბობს შემდეგ ამხ. ა. მგელაძე,— იგი მოვალეა კრიტიკულად აფასებდეს თავის ბუშაობას, არასოდეს არ უნდა მიაჩნდეს, რომ უკვე მიაღწია სრულყოფის ზღვარს, რომ საძიებელი და სასწავლი აღარაფერი აქვს. აი რატომ არის საჭირო შემოქმედებითს ორგანიზაციაში მთელი სიმტკიცით გაიშალოს კრიტიკა და თვითკრიტიკა, რომელიც დღემდე პატივისცემით არ სარგებლობდა. ბოლშევიკური პრინციპული კრიტიკა და თვითკრიტიკა თუ არ იქნა, ისე შეუძლებელია ხელოვნების განვითარება, წინსვლა. ამას გვასწავლის ლენინ-სტალინის პარტია. ჯანსაღი ბოლშევიკური კრიტიკა და თვითკრიტიკა დაგვეხმარება უფრო სწრაფად, უკეთ და უფრო ღრმად შევიგნოთ შეცდომები, უფრო მალე აღმოვფხვრათ ისინი, ჩაგვინერგავს სიმხნეევეს და შემოქმედებითი საქმის წარმატების რწმენას.

აქ სწორად იყო დაყენებული საკითხი, რომ კრიტიკა, რომელზეც ჩვენ ვლაპარაკობთ, მხედველობაში გვაქვს რა სახვითი ხელოვნების საკითხები, მარტო ადამიანთა ჯგუფის — სპეციალისტი კრიტიკოსების საქმე როდია, არამედ მთელი ჩვენი საზოგადოებრიობის საქმეც არის. მხატვრებს ყოველდღე უნდა ახსოვდეთ, რომ იფურჩქნება მხოლოდ ის ხელოვნება, რომელიც განუყრელად დაკავშირებულია ხალხის ცხოვრებასთან, შთაგონებულია მარქსიზმ-ლენინიზმის იდეებით და ვითარდება ერთადერთი სწორი გზით — სოციალისტური რეალიზმის გზით.

ყველაფრით ჩანს, რომ სახვითი ხელოვნების ცალკეულ მუშაკებს და მხატვართა მთელ შემოქმედებითს ორგანიზაციასაც ჯერ კიდევ არ გაუკეთებიათ საჭირო დასკვნები საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ისტორიული დადგენილებებიდან იდეოლოგიურ საკითხებზე, დადგენილებებიდან, რომლებიც საბჭოთა ხელოვნების ყველა მოღვაწეს აიარაღებენ საბრძოლო შემოქმედებითი პროგრამით, გეზს აძლევენ მთა ხელოვნებაში უიდეობისა და აპოლიტიკურობის წინააღმდეგ საბრძოლველად, ჩვენთვის უცხო ბურჟუაზიული იდეოლოგიის ყველა გამოვლინების წინააღმდეგ საბრძოლველად, ახალ სიმაღლეზე აჰყავთ საბჭოთა სახვითი ხელოვნება როგორც იდეური, ისე მხატვრული მხრივ.

სერიოზული ნაკლოვანებები ახასიათებდა ჩვენი მხატვრების პოლიტიკურ აღზრდას. მათი ნაწილი არ სწავლობს, არ ეუფლება მარქსისტულ-ლენინურ თეორიას, იდეურად ჩამორჩენილია. მხატვრებს შორის იშვიათად ეწყობოდა ლექციები მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკის, სახვითი ხელოვნების თეორიისა და ტექნიკის საკითხებზე. ამიერიდან ვეღარ შეეფარგდებით სახვითი ხელოვნების მოღვაწეთა თეორიულ ჩამორჩენილობას, იმიტომ რომ ეს გავლენას ახდენს მათს შემოქმედებაზე.

აქ ცოტა როდი ითქვა მხატვრის ავტორიტეტის ამაღლების საჭიროებაზე. ამ ავტორიტეტის მოხვეჭა ხდება მხატვრული შემოქმედების აღმავლობასთან, მხატვრის ოსტატობის სრულყოფასთან ერთად. ამ ავტორიტეტის შექმნა ხელოვნურად არ შეიძლება.

მე ვეთანხმები იმას, რომ მონოგრაფიების გამოცემა საჭირო, სასარგებლო საქმეა. მაგრამ ეს მთავარი როდია. თუ კაცი ბევრს და კარგად მუშაობს — იგი უამისოდაც დაიმსახურებს საყოველთაო-სახალხო აღიარებას. ხოლო თუ მუშაკი ზარმაცი, უინიციატივოა, თუ იგი მიჩვეულია სხვის კმაყოფაზე ყოფნას, — ასეთ ადამიანს ვერაფრით ვერ შეუქმნი ავტორიტეტს: ხალხი მას სულ ერთია არა სცნობს.

ჩვენი მხატვრების წინაშე დიდმნიშვნელოვანი ამოცანა დგას — ენერგიულად უნდა ემზადონ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 35-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საკავშირო გამოფენისათვის. ამ გამოფენისათვის მზადება ცუდად წარმოებდა. ამიტომ ადვილი როდი იქნება ამ საქმესთან დაკავშირებულ სიძნელეთა დაძლევა. მაგრამ სიძნელეები სწორედ იმისათვის არსებობს, რომ ისინი გადავლახოთ. საჭიროა ავანაზღაუროთ ხელიდან გაშვებული შესაძლებლობანი და ყველაფერი გავაკეთოთ იმისათვის, რომ საქართველოს მხატვრებმა გამოფენაზე შესაფერი ადგილი დაიკავონ მოძმე საბჭოთა რესპუბლიკების მხატვრებს შორის.

არ უნდა ვაყოვნებდეთ 1953 წლის გამოფენისათვის მზადებასაც. საჭიროა ახლავე შევადგინოთ გულდასმით მოფიქრებული გეგმა, გადავწყვიტოთ, ვინ რაზე იმუშავებს, გამოვარკვიოთ, ვის რა დახმარება ესაჭიროება.

ამ გამოფენაზე ჩვენი შემოქმედებითი გეგმა უნდა შეიცავდეს თემებს, რომლებიც ასახავენ ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის ცხოვრებასა და რევოლუციურ მოღვაწეობას, ხალხთა ლენინურ-სტალინურ მეგობრობას, ჩვენი ადამიანების პატრიოტულ საქმეებს. ამ გამოფენაზე წარდგენილ ნაწარმოებებში ასახული უნდა იყოს სტალინის სახელობის რუსთაველ მეტალურგიული ქარხნის მუშაობა და ადამიანები, სამგორის სარწყავი სისტემის მშენებლობა და რესპუბლიკის სხვა დიდი სამრეწველო მშენებლობანი, საქართველოს საკოლმეურნეო სოფლის მოწინავე ადამიანების ბრძოლა ხორბლის, ყურძნის, ჩაისა და სხვა კულტურების მოსავლიანობის გადიდებისათვის, ხალხის შეძლებული, კულტურული ცხოვრებისა. [illegible] სოფლის ახალი ადამიანები.

საქმე ისე უნდა დავაყენოთ, რომ ამ გამოფენისათვის განკუთვნილი თვითეული მხატვრული ნაწარმოები წარმოადგენდეს დიდ ღირებულებას, იდგეს მაღალ იდეურ-მხატვრულ დონეზე, შეეფერებოდეს ხალხის გაზრდილ მხატვრულ გემოვნებას. ჩვენმა მხატვრებმა გამოფენაზე თავიანთი მაღალი ოსტატობა უნდა გამოაჩინონ. მათ კარგად უნდა ახსოვდეთ, რომ ხალხს ესაჭიროება მხოლოდ სავსებით მომწიფებული, სრულფასოვანი ნაწარმოებნი. ხალხს სწამს და უყვარს მხოლოდ ისეთი ნაწარმოებნი, რომლებიც შესრულებულია ნამდვილი ოსტატობით, გამსჭვალულია ცხოვრებისადმი, ადამიანისადმი გულისხმიერი დამოკიდებულებით, ყურადღებას იპყრობს თავისი მაღალი იდეურობით.

ვიმეორებ, ჩვენ ბევრი ნიჭიერი მხატვარი გვყავს. მათ ცოტა რამ როდი გაუკეთებიათ ხალხისათვის, მშობლიური ხელოვნებისათვის. და ეჭვი არ არის, რომ ისინი უფრო მეტს გააკეთებენ. ჩვენს მხატვრებს ყოველმხრივ დახმარებას გავუწევთ, მათ შორის მატერიალურ დახმარებასაც. მათ მოეთხოვებათ მხოლოდ გატაცებით ეწეოდნენ შემოქმედებითს მუშაობას და ასრულებდნენ თავიანთ მოვალეობას ხალხის წინაშე.

1953 წელი, — ხაზგასმით აღინიშნავს ამხ. ა. მგელაძე, — გარდატეხის წელი უნდა გახდეს ქართულ სახვითს ხელოვნებაში. ჩვენმა მხატვრებმა უნდა დაძლიონ ჩამორჩენა, მიაღწიონ დიდ წარმატებებს თავიანთ შემოქმედებაში, ოამტკიცონ, რომ ხალხისადმი სამსახურში ხედავენ თავიანთ ჭეშმარიტ მოწოდებას, თავიანთ კეთილშობილურ პატრიოტულ მოვალეობას.

რამდენიმე სიტყვა თემატიკის შესახებ. მე უკვე ვთქვი, რომ მთელი ჩვენი ცხოვრება საბჭოთა მხატვრისათვის შემოქმედებითი შთაგონების დაუშრეტელი წყაროა. სადაც უნდა გაიხედო, სადაც უნდა მოავლო თვალი, —ყველგან მადლიანი თემებია! რა ულეველი მასალაა ფერმწერლის შემოქმედებითი მუშაობისათვის თუნდაც ისეთი დიადი თემა, როგორიც ბუნების გარდაქმნის გენიალური სტალინური გეგმაა! რა საპატიო ამოცანაა მხატვრისათვის ფერწერაში, ქანდაკებაში გვიჩვენოს ჩვენი შესანიშნავი საბჭოთა ადამიანები, კომუნიზმის მშენებელთა მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომა!

აქ ლაპარაკი იყო პეიზაჟის შესახებ, კითხულობდნენ, მას არსებობის უფლება აქვს თუ არაო. რატომაც არა აქვს? ვინა თქვა, რომ პეიზაჟების წერა არ შეიძლება, რომ ისინი საბჭოთა ადამიანს არ ესაჭიროება? ჩვენს დროში პეიზაჟისტი მხატვრების წინაშე ფრიად საპატიო ამოცანები დგას. საბჭოთა ხალხი ახლა გენიალური სტალინური გეგმის მიხედვით გრანდიოზულ მუშაობას ეწევა ბუნების გარდასაქმნელად — ქმნის მინდორსაცავ ტყის ზოლებს, აშენებს მსოფლიოში უდიდეს ჰიდროელექტროსადგურებს, არხებს, მძლავრ სარწყავ სისტემებს. ძლიერ იცვალა სახე ჩვენმა საბჭოთა მიწა-წყალმა. რამ შეიძლება იმაზე უფრო ძლიერ აღფრთოვანოს, იმაზე მეტად გაიტაცოს პატრიოტი მხატვარი, რომელიც თავისი ქვეყნის, თავისი გმირი ხალხის ბედნიერებით ცხოვრობს, ვიდრე იმ თემამ, რომელიც მოგვითხრობს, თუ როგორ იცვალა სახე ჩვენმა საყვარელმა სამშობლომ, რომელიც სტალინის გენიას მტკიცედ მიჰყავს კომუნიზმისაკენ! ჩვენი მხატვრების შემოქმედებას არავინ არ ზღუდავს არც თემატიკის, არც ჟანრების მხრივ. ოღონდ საჭიროა ისე მუშაობა, რომ არ გამოვიდეს ცალმხრივი გატაცება ამა თუ იმ თემით. თემატიკა მრავალფეროვანი, მიზანდასახული უნდა იყოს, უნდა იზიდავდეს მაყურებელს თავისი ცხოველმყოფელობით, შთაგონებული, ოსტატური შესრულებით. თავისთავად ცხადია, რომ სურათებში შეიძლება გამოყენებულ იქნას ისეთი თემებიც, რომლებშიც მეღავნდება ცხოვრებაში არსებული წინააღმდეგობანი, ახლის ბრძოლა ძველთან, მომავალთან, დრომოჭმულთან.

აქ სავსებით სამართლიანად იყო გამოთქმული სურვილები შემოქმედებითი მივლინებების შესახებ, მხატვრების ჩაბმის შესახებ რესპუბლიკის ქალაქებისა და კურორტების არქიტექტურული გაფორმების სამუშაოებში. ეს შენიშვნები და წინადადებანი მიღებულ იქნება მხედველობაში.

ვაჯამებ რა ჩვენი თათბირის შედეგებს, მე არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ ყველა მისი მონაწილე, საქართველოს ყველა მხატვარი მზად არის თავდადებულად, შთაგონებულად იშრომოს, რათა აღმოფხვრას თავისი შემოქმედებითი მუშაობის ნაკლოვანებანი.

ეჭვი არ მეპარება, უკვე მომავალი წელი დაგვანახვებს, რომ ჩვენ ვიცით შეიცდომების არა მარტო შემჩნევა და გამოვლინება, არამედ მათი გამოსწორებაც, გვიჩვენებს მხატვართა მუშაობისა და მათი შემოქმედებითი ორგანიზაციის გარდაქმნის პირველ ნაყოფს. გავა კიდევ ორიოდე წელიწადი, და ჩვენი მხატვრები კვლავ ჩადგებიან საბჭოთა ქვეყნის მოწინავე მხატვართა რიგში.

ყალმისა და საჭრისის ჩვენი ოსტატები, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, თავიანთ შრომას, თავიანთ შემოქმედებითს ენერგიას მოახმარენ სამშობლოს კეთილდღეობისათვის, ლენინ-სტალინის საქმისათვის, კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლას.

* * *

თათბირმა გამოჰყო კომისია საქართველოს საბჭოთა მხატვრების კავშირის მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესამუშავებლად.

კომისიის შემადგენლობაში შევიდნენ ამხანაგები ვ. მელქაძე, კ. ციმაკურიძე, ვ. ჭიაურელი, ი. დოლიძე, კ. სოხაძე, უ. ჯაფარიძე, ვ. თოფურიძე, კ. მერაბიშვილი, თ. აბაკელია, ვ. კეშელავა, ნ. კანდელაკი, ი. ურუშაძე, ე. ახვლედიანი, კ. სანაძე, ს. კაკაბაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზესტაფონელი მეფაღარგები აღიდებენ ფეროშენადნობის გამოშვებას

სადნობი საამქრო ზესტაფონის ბერიას სახელობის ფეროშენადნობთა ქარხნის სული და გულია. მის მუშაობაზე დამოკიდებულია ქარხნის საერთო წარმატება. მიმდინარე წლის პირველი ხუთი თვე საამქრომ ცუდად იმუშავა, ჩამორჩა გეგმის შესრულებაში, დიდი რაოდენობით დაუშვა წუნი, გადახარჯა ელექტროენერგია. მაისში სამარცხვინოდ ჩამორჩნენ პირველი, მეორე და მეექვსე ღუმელების მომსახურე კოლექტივები.

ჩამორჩენა იმით იყო გამოწვეული, რომ საამქროს ადმინისტრაციამ, პარტიულმა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა მუშაობა მოადუნეს და ვერ დარაზმეს საწარმოო კოლექტივი რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების გადაჭარბებით შესრულებისათვის.

მუშაობის ასე გაგრძელება აღარ შეიძლებოდა. მაისის ბოლოს საამქროს პარტიულმა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა განიხილეს საამქროში შექმნილი მდგომარეობა. დასახეს და განახორციელეს ქმედითი ღონისძიებები საქმის გამოსასწორებლად. კომკავშირულ კრებებზე ვამხილეთ ჩამორჩენილი ამხანაგები. ახალგაზრდებთან მუშაობის გაძლიერების მიზნით თვითეულ ღუმელზე ჩამოვაყალიბეთ კომკავშირული ჯგუფები. საამქროში ახალი ალით გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება, გაუმჯობესდა სააგიტაციო-მასობრივი მუშაობა, ამასთან ქარხნის ადმინისტრაციამ შექმნა ყველა პირობა თვითეული ღუმელის მაღალნაყოფიერი მუშაობისათვის.

შედეგიც კარგი მივიღეთ. ივნისის პირველი რიცხვებიდანვე სადნობი საამქროს ყველა ბრიგადამ და თვითეული ღუმელის კოლექტივმა იწყო საწარმოო დავალების გადაჭარბებით შესრულება. ამასთან აამაღლეს პროდუქციის ხარისხი, მომეჭირნეობით დაიწყეს მასალისა და ელექტროენერგიის ხარჯვა. ასეთი მუშაობით საამქრომ (უფროსი გ. შათირიშვილი) ივნისის გეგმა 110,6 პროცენტით შეასრულა და 4 პროცენტი ელექტროენერგია დაზოგა. მან უფრო ნაყოფიერად იმუშავა ივლისში; პროდუქციის გამოშვების მნიშვნელოვნად გადიდებასთან ერთად დიდად გააუმჯობესა გამოშვებული ლითონის ხარისხიც.

გეგმის შესრულებაში განსაკუთრებით დაწინაურდა მესამე ცვლა (უფროსი ბ. მელქაძე, ოსტატი დ. ქარქაშაძე), რომელმაც თვიური დავალება 111,4 პროცენტით შეასრულა. ამ ცვლაში ყველაზე კარგი შედეგი მოიპოვა მეოთხე ღუმელმა, რომლის ბრიგადირია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ამხ. ს. ფერაძე. კარგად იმუშავეს იმ ბრიგადებმა, რომლებსაც ცნობილი სტახანოველები ბ. გამგებელი და ქ. ქოჩიაშვილი ხელმძღვანელობენ. მაგრამ საამქროში ყველაზე საამაყო მაჩვენებლები მაინც მეორე ცვლის მეორე ღუმელის კოლექტივმა მოიპოვა. ამ ღუმელმა (ბრიგადირი ს. წიქარიშვილი) ივნისის გეგმა 117,1 პროცენტით შეასრულა, 11,2 პროცენტი ელექტროენერგია დაზოგა. იგი ლითონის დნობის მოწინავე მეთოდით მუშაობს და დიდ წარმატებებს აღწევს.

მოწინავეა აგრეთვე პირველი ცვლა (უფროსი ნ. გოგლიჩიძე, ოსტატი დ. დიაკონიძე), რომელიც მესამე ცვლას მხოლოდ 0,1 პროცენტით ჩამორჩა. საამქროში მაღალი საწარმოო მაჩვენებლები მოიპოვეს კომკავშირელმა მდნობელებმა ლ. ყანჩაველმა, უ. ნიორაძემ, კ. სოფრომაძემ, ვ. გოგიბერიშვილმა.

ზესტაფონელი მეტალურგები აუმჯობესებენ მუშაობას და თავდადებით იბრძვიან მეტი და მაღალხარისხოვანი ფეროშენადნობის გამოშვებისათვის.

გ. ნანიტაშვილი,
ზესტაფონის ბერიას სახელობის ფეროშენადნობთა ქარხნის სადნობი საამქროს კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი.

სუხუმი. ლენინის ქუჩის ხედი.

ფოტო გ. კვირკველიასი.

უკეთ მოვაწყოთ მშრომელთა დასვენება

ყოველწლიურად იზრდება და ლამაზდება კურორტი წყალტუბო. გასული წლის ივნისში საექსპლოატაციოდ გადაეცა კურორტის ძშვენება—150-საწოლიანი სასტუმრო „თბილისი“, რომელიც უკვე ძოემსახურა ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან სამკურნალოდ ჩამოსულ 3.000-მდე დამსვენებელს. სასტუმროს აქვს საკუთარი პოლიკლინიკა ყველა საკურნალო კაბინეტით. 1952 წელს მწყობრში ჩადგა საბჭოთა კავშირში ერთ-ერთი მძლავრი და ლამაზი საბანაო № 6. ამ საბანაოს აქვს 50 ინდივიდუალური კაბინა და სამი საერთო აუზი.

გარდა ამისა, საექსპლოატაციოდ გადაეცა სსრ კავშირის საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს სანატორიუმი და საქართველოს სარეწაო კოოპერაციის დამზღვევ სალაროთა კავშირის სანატორიუმი. სწრაფად მიმდინარეობს მთელი რიგი საუწყებო სანატორიუმების მშენებლობა. უახლოეს ხანში დამთავრდება ჩვენი ქვეყნის მეშახტეთა ახალი 250-საწოლიანი სანატორიუმის აგება, რომელიც თავისი არქიტექტურული გაფორმებით და კეთილმოწყობით ერთ-ერთი ულამაზესი შენობა იქნება.

გარდა საუწყებო სანატორიუმებისა, კურორტთა სამმართველოს ხაზით ამჟამად მოქმედებს ორი სპეციალიზებული სანატორიუმი 220 საწოლით. ამბულატორიულ ავადმყოფთათვის წელს გათვალისწინებულია საწოლთა ფონდის გადიდება. ამ მიზნით უახლოეს დღეებში კურორტთა სამმართველოს ყოფილ № 2 სანატორიუმის შენობაში მოეწყობა 100-საწოლიანი პანსიონატი, სადაც დამსვენებლები უზრუნველყოფილი იქნებიან ბინით და მკურნალობით.

საქართველოს სსრ კურორტოლოგიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის წყალტუბოს ფილიალმა და კურორტის სამეცნიერო საბჭომ შეიმუშავეს ერთიანი სამკურნალო მეთოდიკა, რაც აქ წელს ფართოდ ინერგება პრაქტიკაში. აღსანიშნავია ისიც, რომ მედიცინის ბევრი მუშაკი გაწეული მუშაობის მდიდარი გამოცდილების საფუძველზე აქ წერს სამეცნიერო შრომებს.

ჩვენი ქვეყნის ყოველი კუთხიდან ჩამოსული დამსვენებლები: მაღაროელები, რკინიგზელები, მეფოლადეები, კოლმეურნეები, ძეცნიერი მუშაკები, ჭწერლები და სხვა დარგების გამოჩენილი ადამიანები აღტაცებას გამოთქვამენ წყალტუბოს „სასწაულმოქმედი“ წყაროების ეფექტიანობის გამო.

წყალტუბოს განვითარების საქმეში მოპოვებული მიღწევები უფრო თვალსაჩინო იქნებოდა, კურორტის ყოფილ ხელმძღვანელებს, ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებს დროზე რომ ეზრუნათ არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის. უკვე 4 წელიწადია, რაც რაიონის ცენტრს და თვით კურორტს არა აქვს ჰიგიენური აბანო.

შემდგომ კეთილმოწყობას საჭიროებს კურორტის პარკი, რომელიც სანახევროდ გაუნათებელი და სარეველა ბალახებით დანაგვიანებულია. მეტი სისუფთავის დაცვაა საჭირო ბაზარში, თვით კურორტის ცენტრში და მის დაწესებულებებსა და სავაჭროებში.

ჯერ კიდევ მოუქნელად მუშაობს კურორტვაჭრობის წყალტუბოს განყოფილება. აქ დღემდე ვერ მოხერხდა დიეტური სასადილოს გახსნა. იშვიათად არის ლუდი, ბორჯომის წყალი და სხვ. კურორტთა სამმართველოს № 1, № 3 და საკავშირო პროფსაბჭოს № 1 სანატორიუმებში დამსვენებლებს ერთფეროვანი საჭილებით უმასპინძლდებიან. კურორტის მუშა-მოსამსახურეთა საცხოვრებელი ბინები მოუვლელია, რაც კურორტთა სამმართველოს კომუნალური მეურნეობის განყოფილებისა და სამშენებლო კანტორის ცუდ მუშაობას უნდა მიეწეროს.

ყველა ეს ნაკლი დაუყოვნებლივ უნდა გამოსწორდეს. წყალტუბო საკავშირო მნიშვნელობის კურორტია. კურორტთა სამმართველოს, მშენებელი ორგანიზაციების, საუწყებო სანატორიუმების მუშაკთა, რაიონის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების გადაუდებელი ამოცანაა — სანიმუშო წესრიგი და სისუფთავე დაამყარონ წყალტუბოში, უფრო კეთილმოწყობილი და მიმზიდველი გახადონ იგი.

შ. ტოგონიძე,
გაზეთ „ახალი წყალტუბოს“ რედაქტორი.

საზაფხულო გამაჯანსაღებელი მუშაობა საბავშვო ბაღებში

ზაფხულის პერიოდი ყველაზე ხელსაყრელი დროა ბავშვების გაჯანსაღებისათვის. წელს საქართველოს რესპუბლიკის საბავშვო ბაღებიდან 17.541 ბავშვი ისვენებს სხვადასხვა საგარაკო ადგილებში (ბაკურიანი, ციხისჯვარი, ცემი, წაღვერი, ტბა, ახალდაბა, სურამი, ქობულეთი, მახინჯაური და სხვ.).

აგარაკზე საბავშვო ბაღის მუშაობა ისე უნდა იყოს მოწესრიგებული, რომ ბავშვების მთელი ცხოვრება ნორმალურ პირობებში მიმდინარეობდეს. ძილი, კვება, გასეირნება, ექსკურსია, გართობა უნდა წარმოებდეს გარკვეულ დროს. მტკიცე რეჟიმი ბავშვის ორგანიზმისა და ნერვული სისტემის გამაგრების აუცილებელ პირობას წარმოადგენს.

აგარაკზე ბავშვებს გაძლიერებული კვება აქვთ. კვების სწორი ორგანიზაცია მოითხოვს ექიმის მუდმივ მონაწილეობას და მის კონტროლს. მან ყოველდღიურად უნდა შეამოწმოს პროდუქტები, დამზადებული საჭმლის ხარისხი, კალორაჟი. ბავშვის მზარდი ორგანიზმი, ღამის ძილის გარდა, დღის განმავლობაში მოითხოვს დასვენებას. განსაკუთრებით ყურადღება უნდა მიექცეს ბავშვების პირად ჰიგიენას, ხშირად უნდა ეწყობოდეს მათი ბანაობა.

ბავშვის ორგანიზმის გაკაჟების ძირითადი საშუალებაა ბუნებრივი ფაქტორები: ჰაერი, წყალი, მზე. ბავშვების ორგანიზმის გაკაჟების მიზნით დაცული უნდა იყოს ძირითადი პრინციპები: ამ ღონისძიების დაწყებას წინ უნდა უსწრებდეს სათანადო მოსამზადებელი მუშაობა.

პედაგოგს დიდი შესაძლებლობა აქვს ბუნებრივ პირობებში ბავშვებს კარგად განუვითაროს მოძრაობანი. მოძრაობის განვითარების დროს ყოველთვის დაცული უნდა იქნას ბავშვებთან ინდივიდუალური მუშაობის პრინციპი. ზოგიერთი ბავშვისათვის რთული მოძრაობა არ ვარგა. ზოგს არ ეხერხება ცოცვა, ხტომა, სირბილი და სხვ. ყოველივე ეს პედაგოგმა უნდა გაითვალისწინოს თავის მუშაობაში.

აგარაკი დიდ შესაძლებლობას იძლევა ბავშვებთან პედაგოგიური მუშაობის გამრავალფეროვნება-გაღრმავებისათვის, ბუნების სიმდიდრე და მისი მრავალფეროვნება ბევრ საინტერესო წარმოდგენას აძლევს მათ. აგარაკზე ბავშვების ყურადღებას იპყრობს საზოგადოებრივი გარემოც: პიონერთა ბანაკი, რკინიგზა, მანდარინისა და ჩაის პლანტაციები, კოლმეურნეობა, ზღვა, გემები და სხვ. ამიტომ საზოგადოებრივი გარემოს გაცნობისათვის პედაგოგმა შესაფერი მუშაობა უნდა გასწიოს ბავშვებთან.

აგარაკზე ბავშვების ცხოვრება შინაარსიანი, მხნე და მხიარული უნდა იყოს. პედაგოგმა ყოველთვის უნდა გაითვალისწინოს, რა დაარღვევს ბავშვების მყუდროებას. მყუდროების შექმნისათვის საჭიროა მტკიცე წესრიგი. სუფთად და კოხტად გასწორებული ლოგინი, ყვავილებით მორთული სუფთა მაგიდები, პირსახოცის და ტანსამოსის საკიდებზე ლამაზად ძიკრული ნიშნები, ლამაზად დაწყობილი ბავშვთა ნამუშევრები. ყვილაფერი ეს ბავშვებს წესრიგისა და სილამაზის გრძნობას ჩაუნერგავს.

აგარაკზე ბავშვების ცხოვრება მხნედ და მხიარულად უნდა მიმდინარეობდეს. თამაშისა და მეცადინეობის, გასეირნება-გართობის დროს სკოლამდელი ბავშვის საქმიანობის ძირითადი ფორმაა შემოქმედებითი თამაში, რომელშიც ბავშვი ამყარებს თავის სულიერ სამყაროს. შემოქმედებითს თამაშს აგარაკის ყოველდღიურ ცხოვრებაში ყველაზე მეტი დრო უნდა დაეთმოს, ხოლო აღმზრდელი მისი მუდმივი მეთვალყურე და ზოგჯერ მონაწილეც უნდა იყოს.

თამაშის პარალელურად ბავშვებთან უნდა ეწყობოდეს მეცადინეობაც. დღის განმავლობაში რამდენიმე მეცადინეობა შეიძლება მოეწყოს განსაკუთრებით უფროსი ჯგუფის ბავშვებთან. ჩვეულებრივად, საუზმის შემდეგ მოეწყობა ხატვა, ძერწვა, ბუნებრივ მასალებზე მუშაობა, მუსიკალური და სპორტული მეცადინეობა, თხრობა.

ბავშვების ცხოვრებაში დღის რეჟიმი თავისთავად წამოჭრის მუსიკის აუცილებლობას. ბავშვები თითქმის ყოველთვის სიმღერის გუნებაზე არიან, საღამოს საათებში თითქმის ყოველდღე უნდა გაიმართოს ცეკვა-სიმღერები. გარდა ამისა, სხვადასხვა სახის მეცადინეობის დროს ბავშვები ღიღინებენ, ცეკვავენ, მოძრაობენ. პედაგოგმა მხარი უნდა დაუჭიროს ბავშვების ასეთ განწყობას.

აგარაკზე ბავშვების ყოფნის დროს საჭიროა მოეწყოს თოჯინების თეატრი, ზღაპრის დრამატიზაცია, კონცერტი მოზრდილთა ან ბავშვთა ძალებით და სხვ. კარგად მოფიქრებული ექსკურსია-გასეირნება, საინტერესო ობიექტების შერჩევა, სისტემატური დაკვირვება და დასკვნები ბავშვებს გაუძლიერებს ინტერესს ბუნებისადმი.

ზაფხულის პერიოდი კარგ შესაძლებლობას იძლევა მეტყველების განვითარებაზე მუშაობისათვის. პედაგოგი უნდა შეეცადოს გაამდიდროს ბავშვების სიტყვიერი მარაგი ბუნების მოვლენებზე უშუალო დაკვირვებით, წიგნების, სურათების, ლექსების, გამოცანების საშუალებით, პედაგოგმა უნდა გამოძებნოს ადგილობრივ ცნობილი ხალხური მთქმელები და მოახერხოს, რომ ბავშვებმა ასეთი პირებისაგან უშუალოდ მოისმინონ ხალხური შემოქმედების ნიმუშები.

საჭიროა მთელი მუშაობა იქითკენ იქნას წარმართული, რომ აგარაკის ცხოვრება საინტერესო და სახალისო იყოს ბავშვებისათვის, ამავე დროს სწორად წარმოებდეს პედაგოგიური და აღმზრდელობითი მუშაობა.

პ. ს. რატიანი,
საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლამდელი აღზრდის განყოფილების უფროსი.

რაციონალიზაციისა და გამომგონებლობის ორთვიური

ტყიბული. (საკ. კორ.). ლენინის სახელობის შახტში წარმატებით მიმდინარეობს მეშახტის დღისადმი მიძღვნილი რაციონალიზაციისა და გამომგონებლობის დათვალიერების ორთვიური. დღემდე შახტის ცენტრალურ კომისიაში მუშებმა და ინჟინერ-ტექნიკოსებმა შემოიტანეს 49 რაციონალიზატორული წინადადება. ამ წინადადებათა მეტი ნაწილი ქვანახშირის ხარისხის გაუმჯობესებას და ქვანახშირის თვითღირებულების მაქსიმალურად შემცირების ღონისძიებებს ეხება.

განსაკუთრებით საყურადღებოა უბნის უფროსის შ. შოთაძის წინადადება, რომელიც მესამე უბანში არსებული ქვანახშირის მომხვეტი კონვეიერების ერთი ადგილიდან დისტანციური მართვის მოწყობას შეეხება. ასევე მნიშვნელოვანია მექანიკოსების დ. გვენეტაძის, მ. სოფრომაძის, ვ. ჩეკანოვის და მებიგე რ. ზაქარიაძის წინადადებები.

მოწინავე საწარმოები

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა განიხილა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული საქართველოს სარეწაო საბჭოს საწარმოთა შორის მეორე კვარტალში გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების შედეგები.

პრეზიდიუმმა გამარჯვებულად ცნო თბილისის ვოროშილოვის სახელობის არტელი (გამგეობის თავმჯდომარე კ. ხაბურზანია, პარტორგანიზაციის მდივანი ა. ბეზარაშვილი) და არტელი „უნარი“ (გამგეობის თავმჯდომარე გ. მახარაძე, პარტორგანიზაციის მდივანი რ. აბასიანი) და თვითეულს მიაკუთვნა პირველი ფულადი პრემია 16.875 მანეთის რაოდენობით.

მეორე ფულადი პრემია — 11.250 მანეთი მიეკუთვნა არტელ „პრომტექსტილს“.

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

წიგნი მშვიდობის სიყვარულზე

„დიდება სიცოცხლეს!.. მზიური სამყარო
გვეყოფნდა, გვეყოფნის და—
გვეყოფა კიდევაც...
ვინც ქაცობრიობის სიცოცხლით არ ხარობს,
თვით ჩაკვდეს, სიკვდილში თუ ეძებს
დიდებას!“

ასეთი სტრიქონებით ხსნის პოეტი შალვა ამისულაშვილი თავისი ახალი ლექსების კრებულს „დარიალიდან ყარა-ყუმამდე“.

შ. ამისულაშვილმა თავის ახალ წიგნში შეძლო ოსტატურად გადმოეცა ჩვენი ხალხის დაუშრეტელი ყუურვილი მშვიდობიანი შრომისა და ცხოვრებისა, მისი სასტიკი სიძულვილი ახალი ვერაგული ომის გამჩაღებლების მიმართ.

წიგნის პირველ ნაწილს წარმოადგენს პოემა „გომეწრის ხეობაში“. პოემა იწყება დუშეთის მკაცრი ბუნების აღწერით. პირველივე სტრიქონიდანვე იგრძნობა, რომ პოეტი ოსტატურად ფლობს სიტყვას. პოემაში კარგად არის გადმოცემული მთიანი მხარის კოლორიტი.

„აქ მხოლოდ ნამდვილი სიცოცხლე
მაისის დასასრულს იწყება,
როდესაც მთის ბეჭებს, მთის ბორცვებს
ცხვრის ფარა გადუვლის ზვირთებად;
როდესაც ზვავებს ნაიერით
ყელს ჩაიშენდავენ მწყემსები,
და მათი ოცნება ვაჟური —
შირაქში გათლილი ლერწმებით
ტკბილ ჰანგად მოიგლის მოლიანად
ლაჟვარდში აზიდულ იალაღს“.

პოეტი თანდათან გვაცნობს ამ ბუნების წიაღში მცხოვრებ ადამიანებს, მათს საინტერესო ცხოვრებას.

თბილისში სწავლის დამთავრების შემდეგ ნათელა თილიძე მიდის მთაში, იგი სპეციალობით ბეითალია. მან არ უგდო ყური თავის „მრჩეველებს“ და გაემგზავრა იქ, სადაც ყველაზე მეტად საჭიროა მცოდნე ადამიანები. ნათელას უყვარს მამაცი მწყემსი, ომგადახდილი ილია გაგნიძე. ენერგიულად ეკიდება ნათელა თავის ახალ სამუშაოს. დილიდან საღამომდე ცხვარშია, ხან ერთ ბრიგადასთან გაჩნდება, ხან მეორესთან. არაერთი ცხოველი გამოსტაცა მან კონფლიქტი საკმაოდ მოცვეთილი და შაბლონური. იასეს და ნათელას უყვართ ერთმანეთი. დიმიტრი მუშტარაულსაც გაგიჟებით უყვარს ნათელა, მაგრამ მეგობრობისათვის იგი სიყვარულს გულში იკლავს. რასაკვირველია, პოეტს შეეძლო ასცდენოდა ამ მელოდრამატულ კონფლიქტს. მხატვრულად არადამაჯერებელია მუშტარაულის „გამბორუნება“ ჯაჯალასთან. პოემის ნაკლად უნდა ჩაითვალოს ისიც, რომ ყველა მწყემსი როგორც ორი წვეთი წყალი ისე ჰგავს ერთმანეთს. პოეტი ღრმად ვერ წვდება მოქმედ გმირთა შინაგან სამყაროს, მათი ხასიათების თავისებურებას. პოეტს ისეთივე ოსტატობით უნდა დაეხატა ადამიანთა სახეები, როგორც ამას აღწევს ბუნების კოლორიტული გადმოცემის დროს.

პოემაში იშვიათად, მაგრამ მაინც ვხვდებით ზოგიერთ შეუსაბამო ადგილს და სუსტ რითმებს.

წიგნის მეორე ნაწილს წარმოადგენს ლექსების ციკლი „დარიალიდან ყარა-ყუმამდე“. ციკლი იწყება ლექსით „ჭიდილი სიტყვასთან“, რომელიც პოეტის ერთგვარ კრედოს წარმოადგენს. ამ ლექსში პოეტი ლაპარაკობს იმ სიძნელეებზე, რომლებიც შემოქმედმა უნდა გადალახოს სიტყვაზე მუშაობის დროს.

შალვა ამისულაშვილის შემოქმედების პირველი დამახასიათებელი ნიშანია სავსედ, ბარაქიანად სიტყვების ხმარება, დამაჯერებელი მხატვრული სახეების შექმნა. მშვენივრად არის დაწერილი ლექსი „ზამთრის პეიზაჟი“, რომელიც პოეტმა გაზაფხულის განწყობილებით გამსჭვალა. ლექსში მან შეძლო შეექმნა ზამთრის უაღრესად ორიგინალური და სიცოცხლით სავსე სურათები. ლირიზმით აღსავსეა აგრეთვე ლექსი „კასპიის ღამე“.

საბჭოთა ხალხების სტალინური მეგობრობის თემაზე პოეტს მრავალი ლექსი აქვს დაწერილი. მათ შორის აღსანიშნავია ლექსები: „მეგობრის გახსენება“ და „თექვსმეტი მუხა“. ამ უკანასკნელ ლექსში შ. ამისულაშვილმა შეძლო მეტად რთული თემა მიგნებული პოეტური შტრიხებით გადაეწყვიტა. დგას თექვსმეტი ტანმაგარი მუხა, რომლებიც არ უშინდებიან არც ქარს, არც ავდარს. მშვიდობის და სიცოცხლის გამომსახველნი არიან ისინი.

კორეის ჯალათებისადმი სიძულვილით გამსჭვალულია ლექსი „გატეხილი ფიცი“. კეთილშობილური რისხვით ისმის პოეტის სიტყვები, მიმართული ამერიკელი ჯალათებისადმი:

„იყოს!... მოჰქუხს წასალეკად
წამოსული ტალღა,
კიმ ირ-სენის მიწა-წყლიდან
ვერ წაიღებთ დავლას.
გულით მუდამ ლომი არი,
ვინც სამშობლოს იცავს,
ერთს ათასთან შეარკინებს
მშობლიური მიწა!“.

ჩვენი სამშობლოს აყვავებას და საბჭოთა ადამიანების მიერ ბუნების დამორჩილებას მიუძღვნის პოეტი ლექსს „დღეს გაზაფხული მოგვყავს დედოფლად“. პოეტი უმღერის გაზაფხულის შემოჭრას „გაქვავებულ სამგორის მიწაში“. ამავე თემას უძღვნის ავტორი ლექსს „ყარა-ყუმის ციხკარი“.

შალვა ამისულაშვილის ლექსების წიგნი „დარიალიდან ყარა-ყუმამდე“, მიუხედავად მისი ზოგიერთი ნაკლოვანებისა, პოეტის შემოქმედებითს წარმატებად უნდა ჩაითვალოს. შ. ამისულაშვილმა თავის წიგნში წრფელ პოეტური სტრიქონებით უმღერა ჩვენი თანამედროვე მშვიდობიანი მშენებლობის ძლევამოსილ იდეას.

დ. სტურუა.

„ელექტრომავალი“

ოცი წლის წინათ — 1932 წლის 16 აგვისტოს—გაიხსნა საბჭოთა კავშირში პირველი საელექტრომავლო მოძრაობა. ამ დღეს ხაშურიდან ზესტაფონისაკენ გავიდა პირველი მატარებელი, რომელიც ელექტრომავალს მიჰყავდა. ამრიგად, საქართველოს სს რესპუბლიკა საბჭოთა კავშირში საელექტრომავლო წევის პიონერია. მუშაობის პროცესში ელექტრომავლების შესწავლა პირველად ამიერკავკასიის რკინიგზის სურამის უღელტეხილზე დაიწყო.

ამის გამო ბუნებრივია, რომ ჩვენ უნდა გვქონოდა ტექნიკის ამ დარგში საკუთარი ლიტერატურა. სინამდვილეში ეს ასე არ მოხდა. დღემდე ქართულ ენაზე არ იყო ელექტროწევის სისტემატური სახელმძღვანელო ან სხვა რაიმე სასწავლო მასალა.

ამიტომ „ტექნიკა და შრომას“ მიერ გამოცემული სახელმძღვანელო „ელექტრომავალი“[1]) დადებით მოვლენას წარმოადგენს. ეს არის პირველი სახელმძღვანელო ელექტროტრანსპორტის შესახებ.

წიგნი შეიცავს 959 გვერდს, 815 ნახაზს და 59 ცხრილს. იგი შედგება ოთხი ნაწილისაგან (შესავალი ნაწილი, მექანიკური ნაწილი, ელექტრომოწყობილობა და ელექტროსქემები) და დაყოფილია XVI თავად. სახელმძღვანელო შეიცავს ელექტრომავლის აღწერილობა და მისი მუშაობის თეორიული გარჩევის თითქმის ყველა საკითხს.

აღნიშნული სახელმძღვანელოს დადებით მხარეს წარმოადგენს ის, რომ მას გამოიყენებენ როგორც ელექტრომავლის მემანქანეები, ისე ტექნიკუმებისა და უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები. მასში მოცემულია მემანქანეებისათვის საჭირო ელემენტარული ცნობები და ამავე დროს იგი კარგად უახლოვდება „ელექტრომოძრავი შემადგენლობის“ კურსის საინსტიტუტო პროგრამას.

სახელმძღვანელოს დადებით მხარედ უნდა ჩაითვალოს ისიც, რომ ელექტრომავლის სქემების გარჩევისას საფუძვლად აღებულია თანამედროვე ვლ-22-მ ელექტრომავალი, რომელიც საბჭოთა ტექნიკის შესანიშნავ მიღწევას წარმოადგენს.

მიუხედავად წიგნის დადებითი მხარეებისა, მას გარკვეული ნაკლოვანებებიც აქვს.

ეს ნაკლოვანებანი შემდეგია:

პირველი. მიუხედავად იმისა, რომ შესავალი ნაწილის საისტორიო მიმოხილვაში ავტორები მართებულად უსვამენ ხაზს რუსი აკადემიკოსის ბ. ს. იაკობის პრიორიტეტს, წიგნში მაინც გვხვდება სამამულო პრიორიტეტის უგულებელყოფის ფაქტი. ავტორები აღნიშნავენ, რომ ელექტროწევა რუსეთში პირველად გამოყენებულ იქნა 1889 წელს კიევის ტრამვაის სახით. მაგრამ ცნობილია, რომ გაცილებით უფრო ადრე პეტერბურგში პირველად მსოფლიოში, რუსმა ინჟინერმა თევდორე პოლონის-ძე პიროცკიმ ააგო პრაქტიკული ტრამვაის ვაგონი.

მეორე. სახელმძღვანელოს მნიშვნელოვანი ნაკლია ის, რომ იგი ძალიან დიდი მოცულობისაა. ზოგიერთ საკითხს მასში ზომაზე მეტი ყურადღება ექცევა. მაგალითად, უშუალო გადაცემის, ღრულილვიანი გადაცემისა და ჯგუფური ამძრავების აღწერას ძალიან დიდი ადგილი აქვს დათმობილი. შეიძლებოდა და მიზანშეწონილიც იყო წიგნის ამ ნაწილის მნიშვნელოვნად შემცირება.

მესამე. წიგნში არის ერთგვარი ლოგიკური შეუსაბამობა: ელექტრონაწილში აღწერილია მხოლოდ მუდმივი დენის ელექტრომავლები, ხოლო მექანიკურ ნაწილში დახასიათებულია როგორც მუდმივი, ისე ცვლადი დენის ელექტრომავლების ელემენტები.

მიუხედავად იმისა, რომ სახელმძღვანელო საერთოდ დაწერილია გასაგები და კარგი ქართული ენით, წიგნში მაინც არის ზოგიერთი ტერმინოლოგიური შეცდომა. მაგალითისათვის შეიძლება აღინიშნოს ტერმინი „განმანაწილებელი ფარი“ (642 გვერდი), რის ნაცვლად უმჯობესი იყო ეხმარათ „განმანაწილებელი დაფა“.

მიუხედავად ზემოთ აღნიშნული ნაკლოვანებებისა, ეს სახელმძღვანელო უთუოდ სასარგებლო წიგნია ქართველი სტუდენტებისა და სპეციალისტებისათვის.

ლ. აბელიშვილი,
ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი.

[1]) ი. ქარუმიძე, გ. ხანანაშვილი, ვ. მაღალაშვილი. „ელექტრომავალი“. გამომცემლობა „ტექნიკა და შრომა“.

კორეის ამბები

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

ფხენიანი, 7 აგვისტო. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის 7 აგვისტოს ცნობაში ნათქვამია:

სახალხო არმიის შენაერთები გასული დღის განმავლობაში ყველა ფრონტის ცალკეულ უბნებზე განაგრძობდნენ თავდაცვითს ბრძოლებს.

დღეს სახალხო არმიის საზენიტო არტილერიის ნაწილებმა და მტრის თვითმფრინავთა გამანადგურებელმა მსროლელებმა ჩამოაგდეს მოწინააღმდეგის სამი და დააზიანეს ორი თვითმფრინავი, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ მშვიდობიანი დასახლებული რაიონების დაბომბვასა და მათთვის ტყვიამფრქვევის დაშენაში.

ამერიკელი ინტერვენტების ბოროტმოქმედების ახალი ფაქტები კორეაში

ფხენიანი, 8 აგვისტო. (საკდესი). კორეის პრესა იუწყება კორეაში ამერიკელი ინტერვენტების დანაშაულობის ახალ ფაქტებს.

სამხრეთ ფხენანის პროვინციის ჩუნხვას მაზრის ეჯუს თემის დროებითი ოკუპაციის პერიოდში, წერს გაზეთი „მინჯუ ჩოსონი“, ამერიკელმა ჯარისკაცებმა იარაღით მირეკეს თემის მცხოვრებლები ერთ ადგილას ამერიკელთა ჯარების შესახვედრად მიტინგის საბაბით. შემდეგ ოკუპანტებმა გადაარჩიეს ყველა ახალგაზრდა ქალი და დაამწყვდიეს ცარიელ საწყობებში. მერმე ყველა ქალი გაუპატიურეს. ამერიკელმა ჯალათებმა გავარვარებული უთოებითა და ლურსმნებით ამოწვეს კანი ტანზე ქალებს. ყველა ქალს, რომელმაც წინააღმდეგობა გაუწია მოძალადეებს, ამერიკელებმა მავთული გაუყარეს ცხვირში და ასე დაჰყავდათ მავთულით სოფელში. მტარვალებმა ბევრ ქალს თვალები დათხარეს, ამოჭრეს ხორცი სხეულზე. რამდენიმე ორსულ ქალს, რომლებიც მათ ხელში ჩაუვარდათ, ჯალათებმა მუცელი გაუფატრეს.

ქალაქ სარიგონის დროებითი ოკუპაციის პერიოდში, იუწყება ერთ-ერთ უკანასკნელ ნომერში ჟურნალი „ახალი კორეა“, ინტერვენტებმა ბიროსანის მთასთან წამებით დახოცეს 700-ზე მეტი პატრიოტი. მკვლელები შანთით წვავდნენ მათ, კბილებს ამტვრევდნენ, ცხვირს ჭრიდნენ და თვალებს თხრიდნენ. ქალები გაშიშვლებული დაჰყავდათ ქუჩებში, ხოლო შემდეგ ხვრეტდნენ. ხვანხეს პროვინციის ფხენანის მაზრის სოფელ დიუჩენში ამერიკელმა ბანდიტებმა მოაწყეს ეგრეთწოდებული „წითელთა გამოფენა“. მათ ხელ-ფეხი შეუკრეს 130 პატრიოტს, მიაკრეს ხეებს და დიდხანს არ მიუცია რამე საქმელი. 130-ვე კაცი დაიღუპა.

კორეისა და ჩინეთის მხარის პროგესი ამერიკელების მიერ პანმინჯონის რაიონისათვის არგილერიის დაშენის წინააღმდეგ

პეკინი, 7 აგვისტო. (საკდესი). სინხუას საგენტოს კორესპონდენტის მიერ 6 აგვისტოს კესონგდან გადმოცემულ ცნობაში ნათქვამია:

ამერიკელები ცდილობენ უარყონ, რომ 2 აგვისტოს მათ არტილერიის ცეცხლი დაუშინეს კონფერენციის ადგილს. ამ უარყოფას შეიცავს წერილი, რომელიც მათ 5 აგვისტოს გაუგზავნეს კორეისა და ჩინეთის მხარის მეკავშირე ოფიცერს, რომელიც პროტესტი განაცხადა ცეცხლის დაშენის წინააღმდეგ. ამერიკელები აღნიშნავენ, რომ არ ყოფილა მოყვანილი საკმაო დამამტკიცებელი საბუთები.

6 აგვისტოს ორივე მხარის მეკავშირე ოფიცრების სხდომაზე ჩვენმა მეკავშირე ოფიცერმა განაცხადა, რომ ყუმბარების ნამსხვრევები აღმოაჩინეს ორივე მხარის დაცვის სამსახურის ოფიცრებმა, რომლებმაც მოახდინეს 2 აგვისტოს არტილერიის ცეცხლის დაშენის ერთობლივი გამოძიება. ყველა მნახველმა, განაცხადა ჩვენმა მეკავშირე ოფიცერმა, დაადასტურა, რომ ყუმბარები ეცემოდა ამერიკელთა პოზიციების მხრიდან. ამერიკელები, განაცხადა შემდეგ მან, ვერასოდეს ვერ შეძლებენ ამის უარყოფას, რადგან ყველა მნახველის ჩვენებანი და ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთები მომწურავად ცხადყოფენ, რომ ამერიკელებმა არტილერიის ცეცხლი დაუშინეს კონფერენციის ადგილს.

თუ ამერიკელებს მიაჩნიათ, აღნიშნა კორეისა და ჩინეთის მხარის მეკავშირე ოფიცერმა, რომ წარდგენილი დამამტკიცებელი საბუთები საკმარისი არ არის, შეიძლება ახლავე მოხდეს ამ ცეცხლის დაშენის ახალი ერთობლივი გამოძიება.

ამერიკის ავიაციის მიერ ჩრდილოეთ კორეის ბარბაროსული დაბომბვის წინააღმდეგ

ლონდონი, 7 აგვისტო. (საკდესი). რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი კანბერიდან იუწყება:

ლეიბორისტმა სენატორმა მორიუმ მოუწოდა ავსტრალიის სენატს პროტესტი გამოთქვას ჩრდილოეთ კორეის ქალაქების დაბომბვის წინააღმდეგ. შეეხო რა გამოქვეყნებულ ცნობას იმის შესახებ, რომ ამერიკის სარდლობას დასაბომბავად დასახული აქვს ჩრდილოეთ კორეის 78 ქალაქი, სენატორმა მორიუმ თქვა, რომ, თუ ეს განხორციელდა, „ამას მოჰყვება კაცების, ქალებისა და ბავშვების, აგრეთვე მათი სახლების უაზრო მოსპობა“.

როგორც რეიტერის სააგენტოს ცნობიდან ჩანს, მთავრობის კოალიციის ლიდერმა სენატში უარყო მორიუს წინადადება იმის შესახებ, რომ ავსტრალიის სენატმა მიმართოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციას პროტესტით ამერიკის ავიაციის მიერ ჩრდილოეთ კორეის ქალაქების ბარბაროსული დაბომბვის წინააღმდეგ.

მონღოლი ხალხი მოითხოვს შეწყდეს ამერიკელთა აგრესია კორეაში

ულან-ბატორი, 7 აგვისტო. (საკდესი). ამერიკელი ინტერვენტების მიერ კორეის მშვიდობიანი ქალაქებისა და სოფლების ბარბაროსული დაბომბვა, მათი მხეცობა სამხედრო ტყვეების მიმართ, ბაქტერიოლოგიური იარაღის გამოყენება მონღოლი ხალხის გულისწყრომას და აღშფოთებას იწვევს. მთელ მონღოლეთში იმართება გმირი კორეელი ხალხისადმი სოლიდარობის მიტინგები და კრებები. მიღებულ რეზოლუციებში მონღოლეთის მშრომელნი მხარს უჭერენ მშვიდობის მსოფლიო საბჭოს საგანგებო სესიის გადაწყვეტილებებს და მოითხოვენ შეწყდეს ამერიკელთა ინტერვენცია კორეაში.

მონღოლური გაზეთები აქვეყნებენ მეცნიერთა, მწერალთა, საზოგადო მოღვაწეთა, მესაქონლეთა და მუშათა სტატიებსა და წერილებს, რომლებშიც გამოთქმულია პროტესტი ამერიკელ დამპყრობთა ბოროტმოქმედების წინააღმდეგ.

იაპონიის რეაქციის თანამშრომლობა გომინდანელებთან

ტოკიო, 7 აგვისტო. (საკდესი). გაზეთი „მაინიჩი“ იუწყება, რომ გუშინ იაპონიაში გომინდანელთა ხროვის წარმომადგენელმა ჯან ციუნმა ტაკეტორი ოგოტასთან ერთად, რომელმაც იოსიდას მთავრობის დავალებით ამას წინათ იმგზავრა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, ინახულა იოსიდა და ხანგრძლივი საუბარი ჰქონდა მასთან. საუბრის მთავარი საგანი იყო იაპონიის მთავრობისა და გომინდანელთა თანამშრომლობა.

იაპონიის პრესა აღნიშნავს, რომ გუშინ იაპონელ სამხედრო დამნაშავეთა ჯგუფმა, რომლებიც 5 აგვისტოს გათავისუფლეს, ჩინეთში იაპონიის ჯარების ყოფილი სარდლის გენერალ ოკამურას მეთაურობით ტოკიოში ინახულა გომინდანელთა „საელჩო“, სადაც შეხვდა ჯან ციუნს.

განთავისუფლების დღისათვის მზადება კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში

ფხენიანი, 7 აგვისტო. (საკდესი) კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მოსახლეობა უდიდესი აღფრთოვანებით ემზადება იმისათვის, რომ აღნიშნოს თავისი ეროვნული დღესასწაული—15 აგვისტო — საბჭოთა არმიის მიერ იაპონელ დამპყრობთა უღლისაგან კორეის განთავისუფლების მე-7 წლისთავი.

დღეს კორეის პრესა აქვეყნებს ცნობებს იმის შესახებ, რომ რესპუბლიკის მშრომელნი ამერიკელი აგრესორების წინააღმდეგ განმათავისუფლებელი ომის ვითარებაში ემზადებიან ამ დიდსშესანიშნავი თარიღის შესახვედრად. ლოზუნგით „განთავისუფლების მე-7 წლისთავი აღვნიშნოთ უხვი მოსავლის მიღებით!“ სამხრეთ ფხენანის პროვინციის ტედონის მაზრაში ჩაღდება შეჯიბრება გლეხებს შორის. ასეთივე ლოზუნგით ეჯიბრებიან ერთმანეთს ხვანხეს პროვინციის ენეკის მაზრისა და სხვა მაზრების მცხოვრებნი.

რესპუბლიკის თეატრები, სოფლისა და ქალაქის მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივები დღესასწაულისათვის ამზადებენ ახალ სპექტაკლებსა და საკონცერტო პროგრამებს. იმართება საბჭოთა არმიის მიერ იაპონელი დამპყრობლებისაგან კორეის განთავისუფლების მე-7 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამოები, იხსნება ფოტოგამოფენები, რომლებიც გვიჩვენებენ საბჭოთა ხალხის მიღწევებს კომუნიზმის მშენებლობისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის ბრძოლის საქმეში.

ამერიკა-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ეროვნული საბჭოს თავმჯდომარის განცხადება

ნიუ-იორკი, 7 აგვისტო. (საკდესი). როგორც გაზეთ „დეილი კომპასის“ კორესპონდენტი იუწყება, ამერიკა-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ეროვნული საბჭოს თავმჯდომარემ ჯონ კინგსბერიმ, რომელიც გასულ კვირაში დაბრუნდა ჩინეთში მოგზაურობიდან, განაცხადა: „ჩემი აზრით, ბაქტერიოლოგიური ომის გამო ჩინელების მიერ წამოყენებული ბრალდების დამამტკიცებელი საბუთები, რომლებიც მე ჩინეთში ვნახე, საკმაოდ მტკიცე საფუძველს წარმოადგენენ იმისათვის, რომ მიუკერძოებელმა ორგანომ მოაწყოს გამოძიება. ასეთი დამამტკიცებელი საბუთები და ასე ფართოდ გავრცელებული რწმენა, რომ ეს საბუთები სწორია, არ შეიძლება უსაფუძვლო იყოს და მათი უარყოფა ადვილი როდია“.

კინგსბერიმ დასაბუთებულად ცნო, რომ ჩინელები უარს ამბობენ დაუშვან წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი ამერიკელების მიერ ბაქტერიოლოგიური იარაღის გამოყენების ბრალდებათა გამოსაძიებლად, რამდენადაც ამ კომიტეტის მოქმედებაზე გადამწყვეტ გავლენას ახდენენ ამერიკელები.

წინააღმდეგობანი აჯღანგიკის „მოკავშირეთა“ ბანაკში

ლონდონი, 7 აგვისტო. (საკდესი). გაზეთი „მანჩესტერ გარდიანი“ სარედაქციო სტატიაში ეხება იმ გარემოებას, რომ არ სრულდება ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირის საბჭოს ლისაბონის სესიაზე მიღებული გადაწყვეტილებანი, და აღნიშნავს, რომ ამას მოჰყვება როგორც პოლიტიკური, ისე სამხედრო ხასიათის ზიანი.

გაზეთი ეხება „ევროპაში მომჭირნეობის ღონისძიებათა გამო ვაშინგტონში შექმნილი მღელვარების ნიშნებს“ და წერს, რომ მიმდინარე წლის თებერვლის შემდეგ მთავრობები ზედიზედ და მათ შორის ინგლისის მთავრობაც შეეცადნენ თავდაცვიანი ლისაბონში მიეცემული დაპირებათა შესრულებისათვის და, როგორც ჩანს, ცოტას როდი ეცადნენ დაეწყოთ კონსულტაცია მუდმივი ორგანოების მეშვეობით.

ინგლისელი მუშების ბრძოლა ხელფასის მომატებისათვის

ლონდონი, 7 აგვისტო. (საკდესი). მიუხედავად იმისა, რომ ინგლისში სწრაფად იზრდება სიძვირე, მთავრობა უარს ამბობს დააკმაყოფილოს მუშების მოთხოვნა ხელფასის მომატების შესახებ. 1952 წლის დამდეგიდან მთავრობამ და მეწარმეებმა უარყვეს 5.800 ათასი მუშის ხელფასის მომატების მოთხოვნები.

6 აგვისტოს საკალო ვაჭრობის მუშაკთა პროფკავშირის ხელფასის საკითხთა საბჭომ გადაწყვიტა კვლავ გადასცეს შრომის მინისტრს მოთხოვნა ამ პროფკავშირის 600 ათასი წევრისათვის ხელფასის მომატების შესახებ.

გუშინ მაღაროელთა ეროვნული პროფკავშირის აღმასკომმა გადაწყვიტა 700.000 ინგლისელი მეშახტის სახელით მოითხოვოს, რომ დაკმაყოფილონ წინათ უარყოფილი მოთხოვნა ხელფასის კვირაში 30 შილინგით გადიდების შესახებ.

მეწარმეთა ორგანიზაციები კვლავ უარს ამბობენ მუშათა მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე. მაგალითად, 6 აგვისტოს ინგლისის გემმშენებელი მრეწველობის მეწარმეთა ასოციაციამ უარყო 200.000 მუშის მოთხოვნა ხელფასის მომატების შესახებ.

ამასთან დაკავშირებით, რომ მთავრობა და მეწარმეები უარს ამბობენ მუშების მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე, მუშები აძლიერებენ ბრძოლას ხელფასის მომატებისათვის. მაგალითად, შეფილდის მოქმედების კომიტეტმა, რომელშიც შედიან ინგლისის ბევრი ძირითადი ფოლადსამსხმელო ქარხნის წარმომადგენლები, წინადადება მისცა მუშებს ემზადონ გაფიცვისათვის.

ტალბერის (ლონდონის რაიონი) ელექტრომრეწველობის მუშათა პროფკავშირის მანქანათმშენებელთა სექციამ ურჩია მუშებს შეუდგნენ „პირდაპირ მოქმედებას, რათა მეწარმეებსა და მთავრობას უჩვენონ, რომ მუშები ვერ მოითმენენ ხელფასის გაყინვის სიძვირისა და მეწარმეთა მოგების მკვეთრი ზრდის პირობებში“.

იგაღიელ რკინიგზელთა საყოველთაო გაფიცვა

რომი, 7 აგვისტო. (საკდესი). დღეს დაიწყო იტალიელ რკინიგზელთა საყოველთაო გაფიცვა. 24 საათით გაფიცვა გამოაცხადა „რკინიგზელთა ეროვნულმა პროფკავშირმა“, რომელიც შედის იტალიის შრომის საყოველთაო კონფედერაციაში და სახელმწიფო რკინიგზების 200 ათასი მუშა-მოსამსახურიდან აერთიანებს 110 ათას მშრომელს.

რკინიგზელები მოითხოვენ ხელფასის სისტემის გადასინჯვას, ხელფასის საერთო გადიდებას და რკინიგზის პერსონალის გათანაბრებას მრეწველობის მუშაკებთან ხელფასისა და შრომის უფლებების თვალსაზრისით.

თვითმფრინავის კატასტროფა ამერიკის შეერთებულ შტატებში

ლონდონი, 7 აგვისტო. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი სან-დიეგოდან (კალიფორნიის შტატი) იუწყება, 5 აგვისტოს ზღვაზე სან-დიეგოს რაიონში აფეთქდა ამერიკის ბომბდამშენი „ბ-36“.

აფეთქება ამერიკის ავიოსანზე

ნიუ-იორკი, 7 აგვისტო. (საკდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი ვაშინგტონიდან იუწყება, საზღვაო სამინისტრომ გამოაცხადა, რომ კორეის წყლებში ამერიკის ავიოსან „ბოქსიორზე“ რეაქტიული თვითმფრინავის აფეთქების შედეგად მოკლულია 8 კაცი. დაჭრილთა რაოდენობა აღნიშნული არ არის. ხანძარმა, რომელიც აფეთქებას მოჰყვა, მოსპო 12 რეაქტიული თვითმფრინავი. ავიოხანი „ბოქსიორი“ შესაკეთებლად იგზავნება იოკოსუკას (იაპონია) სამხედრო-საზღვაო ბაზაში.

გერმანიის ქალთა დემოკრატიული კავშირის ცენტრალური გამგეობის სესია

ბერლინი, 8 აგვისტო. (საკდესი). ბერლინში გაიმართა გერმანიის ქალთა დემოკრატიული კავშირის ცენტრალური გამგეობის მე-4 სესია.

სოციალიზმის საფუძვლების მშენებლობაში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ქალების მონაწილეობის შესახებ სესიაზე მოხსენება გააკეთა გერმანიის ქალთა დემოკრატიული კავშირის ცენტრალური გამგეობის სამდივნოს წევრმა და გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს წევრმა ედიტ ბაუმანმა. მომხსენებელმა მოუწოდა ყველა ქალს აქტიური მონაწილეობა მიიღონ სოციალიზმის საფუძვლების მშენებლობაში. „სოციალისტური საზოგადოების აშენებით, — ხაზგასმით აღნიშნა მან,—განხორციელდება ყველა გერმანელი დედის ოცნება—მისცეს თავის შვილებს იმის შესაძლებლობა, რომ მშვიდობის, ბედნიერებისა და კეთილდღეობის პირობებში იზრდებოდნენ“.

ედიტ ბაუმანმა აღნიშნა, რომ გერმანიის ქალთა დემოკრატიული კავშირის წევრები მხურვალედ მიესალმებიან გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის მეორე კონფერენციის გადაწყვეტილებებს.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ახალი ადმინისტრაციული დაყოფის შესაბამისად ქალთა დემოკრატიული კავშირის სტრუქტურის რეორგანიზაციის შესახებ სესიაზე მოხსენება გააკეთა საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილების ხელმძღვანელმა ერნა უშმანმა.

ორივე მოხსენების გამო გაიმართა კამათი.

სესიის საბოლოო სხდომაზე ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის აღმასკომის ბუქარესტის მე-13 სესიის გადაწყვეტილებათა შესახებ და გერმანიის ქალთა დემოკრატიული კავშირის ამოცანების შესახებ მოხსენება გააკეთა გერმანიის ქალთა დემოკრატიული კავშირის პირველმა მდივანმა ელი შმიდტმა.

სესიის მონაწილეებმა მიიღეს რეზოლუცია, რომელშიც ჩამოყალიბებულია გერმანიის ქალთა დემოკრატიული კავშირის უახლოესი ამოცანები და გადაწყვეტილება გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ახალი ადმინისტრაციული დაყოფის შესაბამისად ქალთა დემოკრატიული კავშირის რეორგანიზაციის შესახებ.

სესიის მონაწილეებმა ინგლისის მთავრობას, ინგლისის უმაღლეს სარდლობას დასავლეთ გერმანიაში, უმაღლეს კომისრებს დასავლეთ გერმანიაში, აგრეთვე ინგლისის პარლამენტს გაუგზავნეს საპროტესტო დეპეშები დასავლეთ გერმანიაში ნაპალმის ბომბების ჩამოყრის წინააღმდეგ.

ინდოეთის სახალხო პალატაში

დელი, 7 აგვისტო. (საკდესი). გუშინ საღამოს სახალხო პალატამ დაამთავრა კამათი კანონპროექტის გამო, რომელიც ითვალისწინებს „პრევენტიული დაპატიმრების აქტის“ მოქმედების ვადა გაგრძელდეს 1954 წლის დამლევამდე. მმართველი პარტიის ინდოეთის ეროვნული კონგრესის დეპუტატთა ხმების უმეტესობით კანონპროექტი მიღებულ იქნა.

ამ კანონპროექტის მიღებას წინ უძღოდა ხანგრძლივი ცხარე კამათი პარლამენტში და დისკუსია ინდოეთის პრესაში. როგორც ცნობილია, „პრევენტიული დაპატიმრების აქტი“ საშუალებას იძლევა დაპატიმრონ და გაუსამართლებლად ჩასვან საპყრობილეში ყოველი ადამიანი, რომელსაც „ძირგამომთხრელ საქმიანობას“ სწამებენ.

ინდოეთის პროგრესულ პრესასა და საზოგადოებრიობას ახალი კანონი ინდოეთში დემოკრატიული ორგანიზაციებისა და პარტიების დათრგუნვის იარაღად მიაჩნიათ.

პარლამენტში სიტყვა წარმოთქვა კომუნისტური ფრაქციის ლიდერმა სახალხო პალატაში გოპალანმა, მან ამ აქტს უწოდა „კანონი, რომელიც გამსჭვალულია უკანონობით“, და „სამართლებრივ ლაქა თავისუფალ ინდოეთზე“. გოპალანმა წინადადება შეიტანა გამოიტანონ ეს აქტი ინდოეთის საზოგადოებრიობის სამსჯავროზე და თავმჯდომარეს წარუდგინა საზოგადოებრიობის მრავალი პროტესტი „პრევენტიული დაპატიმრების აქტის“ წინააღმდეგ.

„გაერთიანებული ნაციონალისტური პარტიის“ დეპუტატმა ნ. ბ. ქხარმა „პრევენტიული დაპატიმრების აქტი“ დაახასიათა როგორც „შავი კანონი“ და მოითხოვა მისი მოქმედების შეწყვეტა. ასეთივე განცხადებანი გაკეთეს პარლამენტში ყველა ოპოზიციური პარტიის დეპუტატებმა.

ბელგიის კომუნისტური პარტიის მიმართვა

ბრიუსელი, 7 აგვისტო. (საკდესი). გაზეთმა „დრაპო რუჟმა“ გამოაქვეყნა ბელგიის კომუნისტური პარტიის მიმართვა ხალხისადმი სამხედრო სამსახურის ვადის გადადების წინააღმდეგ მშრომელთა ბრძოლასთან დაკავშირებით.

როგორც აღნიშნულია მიმართვაში, „ჯარისკაცთა გამოსვლებს უდიდესი თანაგრძნობით ხვდებიან მოსახლეობის ყველა ფენაში. ამ გამოსვლებს უშუალოდ უჭერენ მხარს მრეწველობის მუშები. ყაზარმებსა და ქარხნებში გამოთქმულ ენერგიული პროტესტები დაგმობა სამხედრო სამსახურის ვადის ყოველგვარი გადიდებისა, აგრეთვე საერთოდ მთავრობის პოლიტიკისა, რომელიც გამალებული შეიარაღების ამ გამაჩანაგებელი პროგრამით და ომისათვის მზადებით გამოიხატება“.

ბელგიის კომუნისტური პარტია მოუწოდებს მშრომელებს განამტკიცონ ერთიანობა სამხედრო სამსახურის ვადის გადიდების, გამალებული შეიარაღების, ომის პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ინგლის-ამერიკის წინააღმდეგობანი ჰონოლულუს თათბირის გამო

ლონდონი, 8 აგვისტო. (საკდესი). ეხება რა შეერთებული შტატების, ავსტრალიისა და ახალი ზელანდიის წარმომადგენელთა ჰონოლულუს თათბირს, გაზეთი „მანჩესტერ გარდიანის“ მელბურნელი კორესპონდენტი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ამერიკისა და ავსტრალიის თვალსაზრისი წყნარი ოკეანის პაქტის შესახებ წინააღმდეგობრივია. ავსტრალიის პარლამენტისა და საზოგადოებრიობის თვალსაზრისით, აღნიშნავს კორესპონდენტი, პაქტს, უწინარეს ყოვლისა და უმთავრესად, მხედველობაში აქვს აღდგენილი იაპონის მხრივ საფრთხის პერსპექტივა. ავსტრალიას ყველაზე უფრო აშინებს ამერიკელთა განზრახვა გააფართოონ შეერთებული შტატების, ავსტრალიისა და ახალი ზელანდიის პაქტის ფარგლები და ამ პაქტში შეიყვანონ იაპონია და ფილიპინები.

ავსტრალიას, აღნიშნავს კორესპონდენტი, აგრეთვე აშინებს, რომ როლი, რომელსაც მას თავს ახვევდნენ ჰონოლულუს თათბირზე, შეიძლება ისე იქნას გაგებული, როგორც ინგლისისადმი ავსტრალიის ღალატის აქტი. „მაგალითად, შეერთებულ შტატებს შეუძლიათ მოითხოვონ, აღნიშნავს კორესპონდენტი, რომ ავსტრალიამ ნაკლები როლი შეასრულოს შუა აღმოსავლეთში. ავსტრალიის ზოგიერთ გაზეთში უკვე გამოჩნდა არახელსაყრელი კომენტარები იმ მხრივ, რომ ინგლისს „პირში ბურთი ჩასჩარეს“ ჰონოლულუში.

გამოითქვა აგრეთვე მოსაზრებანი, რომ შეერთებულ შტატებს შეუძლიათ დაარწმუნონ ავსტრალია მხარი დაუჭიროს იაპონიის განცხადებას კოლომბოს გეგმის გაზიარების შესახებ. ავსტრალიაში მიაჩნიათ, რომ ეს მიუღებელია ინგლისის ფირმებისათვის, რომლებსაც ეშინიათ, რომ იაპონია გეგმას გამოიყენებს ინგლისს საზიანოდ აზიის ბაზრებში ეკონომიური შეღწევისათვის“.

გაზეთი „იორკშირ პოსტი“ სარედაქციო სტატიაში წერს, რომ გაძლიერდა ახალი ზელანდიისა და ავსტრალიის შიში იაპონიის მომავალი აგრესიის შესახებ. „იაპონელები, — აღნიშნავს გაზეთი, — უკვე ქმნიან პოლიციის ძალებს, რომლებიც თითქმის არ განსხვავდებიან საკუთარი ალუურეული არმიისაგან“.

გაზეთი უკმაყოფილებას გამოთქვამს იმასთან დაკავშირებით, რომ ინგლისი ჩამოაშორეს ჰონოლულუს თათბირს.

ქაშანის არჩევა ირანის მეჯლისის თავმჯდომარედ

თეირანი, 7 აგვისტო. (საკდესი). ნაცვლად ჰასან იმამისა, რომელიც საზღვარგარეთ გაემგზავრა და უარი განაცხადა მეჯლისის თავმჯდომარის პოსტზე, დღეს ხმების დიდი უმეტესობით მეჯლისის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ქაშანი.

ახალი სასკოლო სახელმძღვანელოების გამოცემა. **სურათზე:** ბეჭდვითი სიტყვის კომბინატის სამკინძაო საამქროს მოწინავე მუშა, კომკავშირელი თინა სულიაშვილი, რომელიც სახელმძღვანელოების აკინძვის გეგმას სისტემატურად დიდი გადაჭარბებით ასრულებს.

ფოტო რ. აკოფოვისა.

თბილისის პირველობა ცხენოსნობაში

დამთავრდა შეჯიბრება ცხენოსნობაში თბილისის 1952 წლის პირველობაზე.

ცხენოსნები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ დაბრკოლებათა გადალახვაში, ისინდში, ცხენბურთში, ყაბახში, ჩეხვაში, მკერდობაში და ცხენოსნური სპორტის სხვა სახეებში.

ისინდში წარმატებას მიაღწია „სპარტაკის“ გუნდმა.

ცხენბურთში თბილისის ჩემპიონის წოდება მოიპოვეს თბილისის საარტილერიო სასწავლებლის ცხენოსნებმა.

დაბრკოლებათა გადალახვაში პირველი ადგილები დაიკავეს: საშუალო კლასში—რ. მანჯავიძემ, რთულ კლასში—მ. ძიძიგურმა, უმაღლეს კლასში—რ. კორძაიამ.

მკერდობაში და ჩეხვაში მაღალ სპორტულ შედეგს მიაღწიეს შეჯიბრებაში კონკურსგარეშე მონაწილე გუდაუთელმა ცხენოსნებმა ზ. აწაბამ და ჟ. გუბამ.

გამარჯვებულ გუნდებსა და სპორტსმენებს გადაეცათ ჯილდოები.

საქართველოს ცხენოსანთა ნაკრები კოლექტივი (უფროსი მწვრთნელი ე. ძიძიგური) მონაწილეობას მიიღებს საკავშირო ჩემპიონატში, რომელიც შედგება მოსკოვში სექტემბრის დასაწყისში.

ქრონიკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ამხ. რ. ა. კვირკველია მოხსნა საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის მინისტრის თანამდებობიდან. (საქდესი).

დღეს გაზეთ „ზარია ვოსტოკაში“

პირველი გვერდი — „პრავდის“ 8/VIII მოწინავე — ახალი ცხოვრების მშენებლობანი მშვიდობის მშენებლობანია.

დონბასი — მოძმე რესპუბლიკების მეშახტეებს. საქართველოსა და უკრაინის მეშახტეთა შეჯიბრება.

საბჭოთა კავშირში.

მეორე გვერდი — დაძლიოთ ქართული სახვითი ხელოვნების ჩამორჩენა — მხატვართა აქტივის თათბირი საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში.

პარტიული ცხოვრება — გადაჭრით აღმოვფხვრათ ნაკლოვანებანი სოფლის მეურნეობისაღმი ხელმძღვანელობაში.

მესამე გვერდი — საერთო სათაურით „1952 წლის მოსავალი“ წერილები: ს. ოქრუაშვილი — სანიმუშოდ ავიღოთ მოსავალი სათესლე ნაკვეთებზე. პ. შუროვი — კასპის რაიონში მკას აჭიანურებენ. პ. ალექსიძე — კოლმეურნეთა ერთი წერილის „კვალდაკვალ.

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია — გ. გოლეთიანი, ნ. კოლესნიკოვი — ერთი სახელმძღვანელოს შეცდომები.

მეოთხე გვერდი — უცხოეთის ინფორმაციები. ქალაქის ქრონიკა.

რედაქტორი გ. მერკვილაძე

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სტენოგრაფიის და მანქანაზე წერის რესპუბლიკური კურსები აწარმოებს მსმენელთა მიღებას 1952/53 სასწავლო წლისათვის.

კურსები ამზადებს სტენოგრაფისტებს და მემანქანეებს. სტენოგრაფიის კურსებზე მიიღებიან ორივე სქესის მოქალაქენი, რომელთაც აქვთ საშუალო განათლება. მანქანაზე წერის კურსებზე მიიღებიან ორივე სქესის მოქალაქენი, რომელთაც დამთავრებული აქვთ რვაწლიანი სკოლა. კურსებზე არის ქართული და რუსული სექტორები. სტენოგრაფიის კურსებზე სწავლების ვადა ორი წელია. მესამე წელს სწავლას განაგრძობენ მსმენელები, რომლებსაც სურთ მიიღონ სტენოგრაფიის უმაღლესი კვალიფიკაცია. მანქანაზე წერის კურსებზე სწავლების ვადაა 10 თვე. კურსები სამეურნეო ანგარიშზეა.

კურსებზე შემსვლელებმა დირექტორის სახელზე დაწერილ განცხადებას უნდა დაურთონ შემდეგი საბუთები: ავტობიოგრაფია, განათლების მოწმობა, ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან, ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, ორი ფოტოსურათი; პასპორტი უნდა იქონიონ თან.

განცხადება მიიღება 25 აგვისტომდე. მისაღები გამოცდები იწარმოებს მშობლიურ ენაში (წერა, ზეპირი) 25 აგვისტოდან 30 აგვისტომდე. სწავლა დაიწყება პირველ სექტემბერს.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება კურსების კანცელარიაში დღის 2 საათიდან საღამოს 6 საათამდე. მახარაძის ქ. № 4 (ვაჟთა მეორე საშუალო სკოლის შენობა). ტელეფონი № 3-93-03.

საქართველოს რადიოინფორმაციის გადაცემათა პროგრამა

10 აგვისტოს

რადიოსადგურებით 1571 და 59,52 მეტრ ტალღებზე და ქალაქის სატრანსლაციო ქსელით: 06.25—კონცერტი საქართველოს რადიოინფორმაციის კომიტეტის ხალხური ანსამბლის შესრულებით; 07.30—სიმფონიური მუსიკის კონცერტი; 09.20—პოპულარული არიები და ანსამბლები ვერდის და პუჩინის ოპერებიდან საბჭოთა კავშირის დიდი თეატრის სოლისტების შესრულებით; 11.00—კონცერტი დები იშხნელების შესრულებით. 11.30—„პიონერთა დაფიონის“ საკვირაო გამოშვება; 12.15—ჩაიკოვსკის საფორტეპიანო ნაწარმოებები; 13.20—რადიოჟურნალი „ლიტერატურა და ხელოვნება“ № 71; 16.00 — ლეო ქიაჩელის რომანის „გვადი ბიგვას“ რადიოინსცენირება; 16.45—საესტრადო ორკესტრის კონცერტი კნუშნევსკის ხელმძღვანელობით; 17.20—საბჭოთა კომპოზიტორების სიმღერები და ვალსები; 17.45—გადაცემა მოსწავლეთათვის—ზღაპარ „ღარიბი კაცის“ რადიოინსცენირება; 18.45—კონცერტი ქართველი ხელოვნების ოსტატთა და ახალგაზრდა სოლისტთა შესრულებით.

რადიოსადგურებით 1500 და 59,52 მეტრ ტალღებზე და ქალაქის სატრანსლაციო ქსელით: 20.30—ნარკვევი — „კავკასიის მთაგრეხილზე“; 20.45—ქართველ კომპოზიტორთა სიცეკვაობა; 21.00—ბაქოს, ერევნის და თბილისის გაცვლითი კონცერტი; 23.00 — კონცერტი რადიომსმენელთა თხოვნით.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სტენოგრაფიის და მანქანაზე წერის რესპუბლიკური კურსები აწარმოებს მსმენელთა მიღებას 1952/53 სასწავლო წლისათვის.

კურსები ამზადებს სტენოგრაფისტებს და მემანქანეებს. სტენოგრაფიის კურსებზე მიიღებიან ორივე სქესის მოქალაქენი, რომელთაც აქვთ საშუალო განათლება. მანქანაზე წერის კურსებზე მიიღებიან ორივე სქესის მოქალაქენი, რომელთაც დამთავრებული აქვ